

609


1960/2

საქართველოს
საბჭოთაო
მემორიალი




**გაგანიერება
და ტექნიკა**

№ 10 ოქტომბერი 1960




ნეიტრონთა ნაკადის აბსოლუტური სიდიდის გასაზომი დანადგარი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის საქალაქო ავიაციური რეაქტორი



ატომური რეაქტორის სიმძლავრის გასაზომი ზელსანოვის შემოწმება

ფოტო ვ. ვინოკოვრისა



გეგმარება და ტექნიკა

სოციალისტური გეგმარება-კონსტრუქციული
ჟურნალი
№ 10 ოქტომბერი 1960

გამოცემის
XII
წელი

საქართველოს სსრ გეგმარებათა აკადემიის ორგანო

ლითონკერამიკული მასალები ელექტრული მანქანების წარმოებაში

ბ. გვამუშია

ინსტრუმენტებისა და მანქანების ცალკეულ დეტალთა დამზადებისას ძვირადღირებული ლეგირებული ფოლადისა და სხვადასხვა ფერადი ლითონის რაციონალური გამოყენება და ეკონომია მრეწველობის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

ლითონკერამიკული მასალების ფართო გამოყენება, ნაკეთობათა ზემეტალურად დამზადება, ე. ი. ნაკეთობის კორპუსის გაკეთება უზრალო იაფი ლითონისაგან, ხოლო მუშა ნაწილებისა — მეტად საჭირო, ძვირადღირებული და მაღალი მარკის დეფიციტური ფოლადისა და ფერადი ლითონისაგან, ნაწილობრივ წყვეტს ამ ამოცანას. ძვირადღირებულ ლითონთა ეკონომიასთან ერთად ლითონკერამიკული მასალების გამოყენება საგრძნობლად აადვილებს მანქანების ცალკეული დეტალების დამზადებას და ამით უზრუნველყოფს მათი თვითღირებულების შემცირებას.

ფხვნილთა მეტალურგია (ლითონკერამიკა) ახალი სიტყვაა ტექნიკაში. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ მაღალმწარმოებულ პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს ძვირადღირებულ ლითონთა ეკონომიას და ძვირფასი, წინასწარ მოცემული თვისებების მქონე ახალი ლითონური მასალების დამზადების საშუალებას იძლევა.

ლითონკერამიკულ ნაკეთობებს ლეგულობენ ლითონის ფხვნილთა დაწნეხის შედეგად მათი დამცავ ატმოსფეროში ან ვაკუუმში მომდგენი შეცხობით ისეთ ტემპერატურაზე, რომელიც გამოირიცხავს მათ გადნობას. ზუსტი ზომების მისაღებად შეცხობილ ნაკეთობებს აკალიბრებენ, სიმტკიცისა და სიმკვრივის ამალგების მიზნით მათ ზოგჯერ ორმაგად წნეხენ და აცხობენ. ლითონკერამიკული მასალები ემორჩილება თერმულ დამუშავებას. ესაა მყარი სხეულები, რომელთა ნაწილაკები ერთმანეთთან ატომთშორისი შეჭიდულობის იმავე ძალებითაა დაკავშირებული, როგორც ჩვეულებრივ მასალებში.

ლითონკერამიკული მასალების საფუძველზე შესაძლებელია სხვადასხვა კონსტრუქციული ნაწილების, კბილანების, ფასონური ჭანჭიკების, კოლექტორის ფინების, საკონტაქტო რგოლების, ანტიფრიქციული მილისებისა და სპეციალური დანიშნულების სხვადასხვა ნაკეთობათა წარმოება. თუმცა ლითონკერამიკულ ნაკეთობათა გამოყენების საკითხების გაშუქებისას მათ ძირითადი მასალების შემცველებს მიაუთუნებენ, მაგრამ არსებითად მათთვის შეცვლად უნდა შეიძლება.

პირიქით, ძირითად ლითონებსა და შენადნობებს ხშირად უფრო დაბალი მაჩვენებლები გააჩნია, ვიდრე ლითონკერამიკულს, და რაც შემთხვევაში მათ შემცვლელს წარმოადგენს.

მაგალითად, სპილენძ-გრაფიტის მილისებს, როცა ისინი არა აქვთ, ჩვეულებრივ ცვლიან ბრინჯაოს მილისებით, რომელთა სამსახურის ვადა რამდენჯერმე ნაკლებია, ვიდრე პირველისა და ა. შ. ამავმად ლითონკერამიკული მასალებისაგან დამზადებული დეტალები გამოიყენება მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მრავალ დარგში როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

დღეისათვის ლითონის ფხვნილები ჯერ კიდევ შედარებით ძვირია. ფასების შეფარდება მათ და ზოგიერთ კომპაქტურ ლითონს შორის, მაგალითად, სპილენძისათვის შეადგენს 1,2-ს, ხოლო რკინისათვის — 2,5-ს. მაგრამ ფხვნილთა მეტალურგიის განვითარება და ფხვნილებზე მოთხოვნილების გაზრდა უახლოეს დროში მათი ღირებულების შემცირებამდე მივიყვანს ახალ სიმძლავრეთა შექვანისა და წარმოების პროგრესული მეთოდების გამოყენების ხარჯზე.

შავი ლითონების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით 1 ტ სულწინის რკინის ფხვნილის ღირებულება 500 მან-მდე ღია. ეს ფხვნილი მზადდება ფოლადის ხეჩისაგან მყარი ნახშირბადით





აღდგენის გზით. იგი შეიცავს 96%-მდე ლითონს, 0,1-0,2% ნახშირბადს, აგრეთვე მანგანუმის, კაისის და ხენჯში შემავალ სხვა ელემენტთა მინარევებს.

ეს მეთოდი გამოირჩევა განსაკუთრებული სიმარტივითა და ეკონომიურობით და ფართოდ გამოიყენება როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

გარდა ამისა, არსებობს რკინის, ვოლფრამის, ნიკელის, ქრომის, ტიტანის, ვანადიუმისა და სხვა მასალების ფხვნილთა მიღების რამდენიმე მეთოდი, რომლებიც დაფუძნებულია ლითონის ქანგეულთა აღდგენის პრინციპზე.

სპილენძის, ვერცხლის, ნიკელის, კობალტისა და რკინის ფხვნილების მიღება აგრეთვე შეიძლება აღნიშნულ ლითონთა მარილების წყალხსნარის ელექტროლიზით.

კათოდზე ფხვნილისმავარი მდგომარეობაში ლითონის გამოყოფა მიიღწევა მაღალი სიხშირის დენის გამოყენებით. კათოდური ნალექი ჩამორეცხება ელექტროდისაგან და შრება. სამრეწველო ფხვნილის ნაწილაკის განზომილება 0,1÷250 მიკრონის ფარგლებში მერყეობს.

ლითონის ფხვნილებისა და შენადნობების ტექნოლოგიური თვისება ხასიათდება არა მარტო ქიმიური შედგენილობით, არამედ ფიზიკური მონაცემებით: ნაწილაკების ფორმითა და ზომით, ზედაპირის მდგომარეობით და ა. შ. ყველაზე კარგად ის ფხვნილები იწვნება, რომელთა ნაწილაკები არასწორი ფორმა აქვს, ამასთან წვრილმარცვლოვანი მსხვილმარცვლოვანზე უფრო კარგად იწვნება. ფხვნილები, რომლებსაც აქვს უმცირესი ზომები 5 მიკრონამდე, შედლებსაც დროს იძლევა დიდ შეკლებას—20 ხაზობრივ პროცენტამდე და ნაწარმი მიიღება ძალზე მკერები მცირე ფორიანობით. რკინის ფხვნილი, რომლის ნაწილაკების განზომილება 50 მიკრონზე მეტია, უზრუნველყოფს ფორივან ნაკეთობათა უსუსრდ მოცემული ზომებით დამზადებას.

ფხვნილების დაწნევა წარმოებს 3-დან 10 ტ-მდე წნევაზე 1 კვ. სმ-ზე. ამიტომ პრესფორმებს უნდა გააჩნდეს მაღალი სიმტკიცე. ისინი მზადდებიან X12M, XBT, და ა. შ. მაღალახისხივანი ლეგირებული ფოლადისაგან ან, რაც კიდევ უფრო კარგია, მყარი შენადნობისაგან.

დაწნევის პროცესების წარმოებისათვის, როგორც ჩვენთან, საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ, შექმნილია სპეციალური წნეხი-ავტომატები. ისინი განსხვავდებიან ჩვეულებრივი წნეხებისაგან, რომლებსაც აქვს არაუმეტეს ორი მოძიარობა, ზედა და ქვედა პუნსონების მრავალი მუშა სვლით.

წნეხები ხელულებრივ აღიჭურვება სვლის რიცხვის უსაფეხტრო რეგულირებით. ფხვნილის ჩაყრა და დაწ-

ნეხილის მოცილება მექანიზებულია, რაც წნეხმექანიზმის რავლისობას მთლიანად ავტომატიზებულს ხდის.

შეცხოვის პროცესის ჩატარება დასახულია კონვეიერულ ღუმელებში. ამგვარად, ფხვნილებისაგან დეტალუბის დამზადების პროცესი მთლიანად ავტომატიზებულია და უკვე ამჟამად აღნიშნული მეთოდით დამზადებული ანალოგიური დეტალების შრომატევადობა მნიშვნელოვნად მცირეა, ვიდრე კომპაქტური ლითონების მექანიკური დამუშავების დროს.

მიზანშეწონილი იქნება ლითონკერამიკული ნაწარმის წარმოება თავმოყრილ იქნეს თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილ სპეციალიზებულ საწარმოებში. მათი დამზადება ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვა ქარხანაში არარენტაბელური იქნება.

ამჟამად ლითონკერამიკულ ნაწარმს საბჭოთა კავშირში უშვებს ორი სპეციალიზებული ქარხანა: „ელექტროკონტაქტი“ (ივანოვოს სახალხო მეურნეობის საბჭო) და სომხეთის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ელექტროლითონკერამიკისა და ნახევარგამტარების ქარხანა.

ძირითად სამუშაოებს ლითონკერამიკის ათვისებისათვის აწარმოებს ელექტრომრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი, შავი ლითონების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სხვა სამეცნიერო წარმოება-დაწესებულებები.


ეკონომიური თვალსაზრისით ლითონკერამიკის გამოყენების ძირითად უპირატესობას წარმოადგენს მასალების ხარჯვის ეკონომია წარმოების ნარჩენების თიქმის არარსებობის გამო.

ლითონკერამიკულ ნაკეთობათა წარმოების და ფხვნილებისაგან დამზადებული დეტალების დანერგვის შედეგად მიღებული ეფექტურობის მოყვანილი მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ახალი ტექნიკის ამ დარგმა ღრმად უნდა დაანტერესოს სულ სხვადასხვა პროფესიის და პირველ რიგში ელექტროტექნიკური საწარმოები.

თბილისის ელექტროშედლებების მოწყობილობის ქარხანაში „ელექტროშემდღებელი“, დამუშავებს რა ლითონკერამიკული შენადნობების გამოყენების შესაძლებლობის საკითხი, მიზანშეწონილად მიიჩნევს ლითონკერამიკისაგან შედლებების გენერატორის კოლექტორული ფენების დამზადებას.

ამჟამად ეს ფენები მზადდება დატიფვრით სოლიდური პროფილის მქონე წითელი სპილენძის წნელისაგან. ერთ კოლექტორულ იხარჯება 100 ცალი ფინი. სპილენძის ნაგლის დანახარჯის საერთო წონა ერთ კოლექტორზე 30,5 კგ-ს შეადგენს. 100 ცალი ფინის ნაშადის წონა 28,5 კგ-ია. მაშასადამე, ნარჩენის სახით 2 კგ სპილენძი მოდის მხოლოდ ერთ მანქანაზე.

განზრახულია ლითონკერამიკისაგან ბიმეტალურად დამზადდეს ფინები ნახ-ზე გამოსახული ესკიზის მიხედვით.



FC-500 გენერატორის კოლექტორის ბიმეტალურამიკული ფინი

ფენილის მასალების ხარჯი 100 ცალ ფინზე, რომელიც ნახ-ზე მოცემული, ელექტრომრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით შეადგენს 6 კგ სპილენძის ფენილის და 15 კგ რკინის ფენილის.

მაშასადამე, ლითონკერამიკული ფინების დანერგვის შედეგად სპილენძის ეკონომია ერთ მანქანაზე 24,5 კგ-ის ტოლი იქნება.

ფულადი სახით ეკონომია გამოსახული იქნება შრომითი დანახარჯის სხვაობაში და სპილენძის ნაშადის ღირებულებისა და სპილენძის ფენილის პლუს რკინის ფენილის ღირებულების სხვაობაში.

1 კგ სპილენძის ღირებულების (8,80 მან.) დაპირისპირებით 1 კგ სპილენძის ფენილისა (12,5 მან.) და 1 კგ რკინის ფენილიდან (1,1 მან.) მივიღებთ, რომ მასალების ხარჯის მიხედვით ეკონომია ფულადი სახით ერთ კოლექტორზე 157 მანეთს შეადგენს.

წელიწადში 12 ათასი ცალი ელექტრომანქანის საწარმოო გეგმის შემთხვევაში ამ ღონისძიების დანერგვით ეკონომიური ეფექტი მარტო ქარხანა „ელექტრო-შემდუღების“ მიხედვით გადააქარბებს 1.800 ათას მანეთს და გამოათავისუფლებს 298,0 ტ ტოთელ სპილენძს.

გარდა პირდაპირი მატერიალური ეფექტისა, მთლიან ლითონური ფინების ლითონკერამიკული შეცვლით არსებობს შესაძლებლობა ფინების დამზადების პროცესში მთლიანად იქნეს მექანიზებული. საქმე ისაა, რომ მრავალი ქარხნის, მათ შორის ქარხანა „ელექტროშემდუღების“, გამოცდილება, ნათელყოფს ტვიფვის შემდეგ ლითონური ფინების შესუსტების აუცილებლობას. შესუსტების პროცესი იმაში მდგომარეობს, რომ პატარა საგლეხითა და ჩაქურჩით შეიარაღებული მუშა ხელით ასწორებს ფინებს სამოწმებელ ფილაზე.

დღევანდელი დღისათვის ამ ერთი შეხედვით უპარტიკის პროცესის მექანიზება ვერც ერთმა ელექტროტექნიკურმა ქარხანამ ვერ შეძლო. წრეჭეჭე ფინების გასწორების ცდას წარმატება არ მოჰყოლია, რადგან ამ დროს ნაჩენი ძაბვა არ ქრება და ამგვარი სწორების შემდეგ ფინი ხელახლა იბრცება. რაც შეეხება ლითონკერამიკულ ფინებს, მათ არ გააჩნიათ აღნიშნული ნაკლი,

ე. ი. საჭირო არაა მათი გასწორება. ისინი, დამზადებული სპეციალიზებული ქარხნის მიერ კოოპერაციის წესით, შეიძლება უშუალოდ მიეწოდონ კოლექტორის ასაწყობ მექანიზებულ ხაზს.

ბიმეტალური ფინების დამზადების ტექნოლოგია რამდენადმე განსხვავდება ჩვეულებრივისაგან, რადგან მატრიცის სიღრმე მოსახსნელი სამარჯვით აუცილებელია დაიყოს სპილენძისა და რკინის ფენილის განცალკევებული ამოყვებისა და წინასწარვე ცალ-ცალკე დაწნევისათვის მომდევნო საბოლოო ემწეხებით. ეს იწვევს შედგენილი პუანსონების დამზადებისა და სპეციალური დანიშნულების წნეხ-ავტომატების გამოყენების აუცილებლობას.

ჩატარებული ცდებით დასტურდება გენერატორის კოლექტორში FC-500 ლითონკერამიკული ფინების გამოყენების შესაძლებლობა. ასე, მაგალითად:

ბიმეტალური კოლექტორული ფინები Cu-Fe კომპოზიციაში გამოცდილ იქნა B-4 ტიპის ამგზებში; №108. — 3000 ბრ/წუთ. №108. — 110 ვოლტი, №108. — 11 აპერი, დენის სიმკვრივე მუსის ქვეშ (ЭГ-2А მარკისა) 6 აპერი/სმ²-ზე. 10.000 საათი მუშაობის შემდეგ (მუშაობის საფარბრთი ვადა 2000) მუშა ზედაპირის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო; ფინების მიწეას, მათ შესუსტებასა და გარეგნულ დეფექტებს ადგილი არ ჰქონია. გადამეტურების ტემპერატურა იყო 23°C, ხოლო კოლექტორის ცვეთა — 0,26 მმ. მუსების კუთრი ცვეთა 50 საათში — 0,04÷0,06 მმ, როცა ГОСТ 2332-43-ის მიხედვით დასაშვებია 0,15 მმ-მდე.

გარდა ამისა, სპილენძის ლითონკერამიკული ფინები იცდებოდა ЗИЛ-150 ავტომობილების СГ №15 სტარტერებში. 50 000 კმ გარბენის შემდეგ სტარტერის კოლექტორის ცვეთა იყო 0,1 მმ-ზე ნაკლები, ხოლო მუსების ცვეთა — 0,7÷1,5 მმ. იმავე დროში მეტალურგიული სპილენძის კოლექტორის ცვეთა 0,5 მმ-ს აღწევს.

ჩატარებული ცდები თვალნათლივ გვიჩვენებს ლითონკერამიკის უპირატესობას M-1 მარკის ჩვეულებრივ სპილენძთან შედარებით.

ამასვე ადასტურებს გამოკვლევები, რომლებიც ჩატარებულ იქნა ელექტრომრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ.

ლითონკერამიკული სპილენძისა და M-1 მარკის სპილენძის შედარებისას ჩანს, რომ პირველი საგნებით აკმაყოფილება საჭირო მოთხოვნებს სრიალის კონტაქტების მასალებზე.

კოლექტორული ფინების ცვეთა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მასალის სიმტკიცესა და სისაღზე. მაგრამ სისაღისა და სიმტკიცის განსაზღვრა თითხის ტემპერატურაზე ამომწურავად არ მიიჩნევა.



გენერატორის მუშაობის დროს გახურების შედეგად ფინების მასალაში მიმდინარეობს პროცესები, რომლებიც ცვლის ამ მასალათვლებს. ამასთანავე იცვლება სიმტკიცისა და სისალის ზღვრები.

ტემპერატურის გადიდებისას გამოცდილი ნიმუშების სიმტკიცის ზღვარი ჰიმეაზე და სისალზე მცირდება, მაგრამ ლითონკვარამიკულ სპილენძს უფრო მაღალი თვისებები აღმოაჩნდება, ვიდრე ლითონურ M-1 მარკის სპილენძს.

სასმენი აპარატები ნახეზარამატარებზე

ნახეზარამატარებზე თავისი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თვისებების გამო უკანასკნელ ნაწილში ფართო გამოყენება მოიპოვა ტექნიკის მრავალ დარგში. ნახეზარამატარები დიოდები და ტრიოდები იხმარება დაბალი და მაღალი სიხშირის გამძლეობით, მცირე სიმძლავრის გადამცემებში, საზოგადოებრივ სივრცეებში, ავტომატური კონტროლისა და მართვის აპარატების როგორც კანქმუში და მრავალ სხვ.


უკვე რამდენიმე წელია, რაც ნახეზარამატარები წარმატებით გამოიყენება სასმენი აპარატების წარმოებაში.

აღმართა სმენის დაქვეითება შეიძლება აღდგენილ იქნეს სპეციალური აპარატის საშუალებით, რომელსაც საფუძვლად უდევს მინიატურული გამამდიერებელი **НЧ**. სმენის აღდგენილი აპარატი მაშინ ჩაითვლება სრულყოფილად, თუ მას ექნება მაქსიმალური აუსტიკური გაძლიერება სმენის ძლიერი დაქარაგვის საკომპენსაციოდ არა ნაკლებ 60 დბ-სა, ხოლო საშუალო, დაქარაგვისათვის — 40 დბ-სა, ყველა ტრაქტის (მიკროფონი — გამამდიერებელი — ტელეფონი) გატარების ხარისხი — 200-3000 ჰერცი; არაწრფივ დამახინჯებათა კოეფიციენტი — 10%-მდე. გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს სპეციალური და ტემპირის რეგულირება; აპარატზე არ უნდა შეაწესოს ავტომატური და ანოზონის მისი ფოკუსური ნაკლი, ე. ი. უნდა გამოჩნდეს რაც შეიძლება მცირე წონა და ზოგნობა.

ადრე გამოშვებული აპარატები, რომლებიც აწეობილი იყო ზემოთაღებული მთავარებზე, საკვებად მოთხოვდა ორ ბატარეას, იყო დიდი, მძიმე და ნაკლებ ეკონომიური. მაგალითად, აპარატი „ფეიქა“ კვების წყაროდ იყენებდა ორ ნილია 550 გ-ს და მთლიან კების მართვს გარკვევისათვის ხარჯავდა 0,09 ვტ სიმძლავრის.

ნახეზარამატარები ტრიოდებზე აგებული პირველი საბჭოთა სასმენი აპარატი, რომელიც დაწერილი იქნა მასობრივ წარმოებაში, იყო 1955 წელს შემუშავებული აპარატი „კრისტალი“. მთლიანობა ნაკლებად ნახეზარამატარებზე

გამტარაინი ტრიოდების გამოყენებით მცირეხარისხიანი აპარატის ზომები, წონა და კვების საჭირო სიმძლავრე. ხელსაწყო კვების წყაროსთან ერთად იწონის 125 გ-ს; ზომებია 59×82×19 მმ, კვების საჭირო სიმძლავრე 0,01 ვტ-მდე, მაქსიმალური აუსტიკური გაძლიერება — 55 დბ. იგი განუთვნილია სმენის სუსტი, საშუალო და ძლიერი დაქარაგვის საკომპენსაციოდ როგორც საპირი, ისე ძვლოვანი ბგერათამაძარკობით. ძვლოვანი ბგერათამაძარკობა წარმატებით გამოიყენება სმენის ორგანოს ბგერათამაძარკო სისტემის დაზიანების (დეფიციტის აქვის დაზიანება, ოთხსაღებროზი და სხვ.) ამისათვის იხმარება ძვლოვანი ბგერათამაძარკობის სპეციალური



ელექტრომანტიტური ტელეფონი, რომელიც ემგებება უფრო ნივთის იქით დგრობს მორჩს.

აპარატი იკვებება სპეციალური მცირე-აპარატიანი მზარდი ელემენტებიდან 1,5-**CTMII-60** „კრისტალი“ 1,5 ვოლტი ძაბვით. მისი ტევადობაა 300 მილიამპერ-საათი. ელემენტები უზრუნველყოფს აპარატის მუშაობას 45-60 საათის განმავლობაში.

აპარატი „კრისტალი“ მავალზედ შემუშავებული და წარმოებაში ათვისებული იქნა აპარატები: **CO-1** (ე. წ. „სასმენი სათვალველი“ და „სმენი ქალის ოთხი სპეციალის სხითი (იხ. ნახ.)“). აპარატი **CO-1** აუზიბილია სპეციალური სათვალის ბუდის უფრო საცემში. მისი წონაა 100 გ. საჭიროა დენი 5 მილიამპერამდე. სასმენი სხვაგვარად

ზემოთაღებამი მთელი სხვადასხვა აგებნის შემთხვევაში გამოშვებული ყველა კოლექტორული ელემენტური მანქანის კოლექტორული ფინების დამზადების ტექნოლოგიის გადახედვის აუცილებლობის საკითხს. ექვს გარეშეა, რომ ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა სახელმწიფო სასმენიო-ტექნიკური კომიტეტი, საკავშირო და რესპუბლიკური სახელმწიფო საგემო კომისიები უახლოეს ხანში სათანადო გადაწყვეტილებებს მიიღებენ ამ საკითხის შესახებ.

კუთვნილია სმენის მხოლოდ სუსტი და საშუალო დაქარაგვის საკომპენსაციოდ საპირი ბგერათამაძარკობით; იგი გამოიყენება ნებისმიერი აგრეთვე სმენის ნერვის ნერვების დროს. **CO-1**-ის მაქსიმალური აუსტიკური გაძლიერება აპარატ „კრისტალთან“ შედარებით სუსტია და 40 დბ-ს შეადგენს. აპარატს არ შეუძლია მუშაობა ძვლოვანი ტელეფონის, რისთვისაც საჭიროა გაძლიერება სიმძლავრე. აპარატ **CO-1**-სათვის შემუშავებული და წარმოებაში ათვისებული ელემენტარული მინიატურული, ანუ თითო მკერდოვანი გამოიყენება უკანასკნელ ხანს შემუშავებულ აპარატებში „სმენი“ და „სმენი“ აპარატ **CO-1**-ს უშვებენ **CO-1A** და **CO-III** სახით.

აპარატი იკვებება კალმუშ-ნიკელიანი **Д-0,06** დისკური აუზულატორიდან 1,2 ვოლტი ძაბვით. აუზულატორის ნომინალური ტევადობაა 50 მილიამპერ-საათი. მის დასამუხტად ცვლილი და მუდმივად დენის სქილადან 127 და 220 ვოლტი ძაბვით იხმარება პორტატული საშუალო მწკრივობილი **ЗВ-1**, რომელიც ერთობს თითოეულ აპარატს, დამუხტვა უფროს 15 საათამდე.

„სმენი“ აპარატის წონა, რომელიც ოთხი სამაგრი სახითაა შესრულებული, 55 გია. მისი ზომებია 75×17×12 მმ; საჭირო დენი — 4 მალიამპერამდე, მაქსიმალური აუსტიკური გაძლიერება — 45 დბ. აპარატი იკვებება **Д-0,06** აუზულატორიდან, რომელიც ელემენტარული აუზულატორულ ბუდელში და მარდნა დისკის მსგავსი სახეობითაა აპარატის ერთობს საშუალო მწკრივობილი **ЗВ-1** და ორი აუზულატორი. აპარატის თანავე დასამუხტად გამოიყენება სპეციალური მიმეტი.

შემადგენ მუშავდება აპარატი „სმენი“, რომელსაც აქვს აპარატი „კრისტალთან“ შედარებით პ-ჯერ ნაკლები წონა და მოცულობა 60 დბ აუსტიკური გაძლიერების. გაძლიერების გადიდება მიიღწევა გამამდიერებლის კვებით 2,5 ვოლტი ძაბვით ორ თანამდევრულად შეფარებული **Д-0,06** აუზულატორიდან. აპარატს ექნება მწკრივობილია ტელეფონის სალაპარაკოდ.

დიდი ქართველი მოღვაწე



(ი. გოგებაშვილის დაგაფების 120 წლისთავის გამო)

ლომთაბო პ. ქიქნაძე

ქართული პედაგოგიკის კლასიკოსი იაკობ გოგებაშვილი ექუთუნის იმ დიდ საზოგადო მოღვაწეთა პლეადის, რომლებმაც მთელი თავისი სიცოცხლე და შემოქმედებითი ენერგია ხალხის უანაგრო სამსახურს მიუძღვნეს.

იაკობ გოგებაშვილი სამშობლოს მგრძნებარე პატრიოტი, სპეტაკი და უმწიკვლო მოქალაქე, ხალხისათვის უსაზღვროდ თავდადებული და მაღალნიჭიერი მოღვაწე, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იყო.

გოგებაშვილს ხალხი იცნობს სახალხო განათლების, ახალთაობის სწავლისა და აღზრდის საქმის დიდ მოღვაწედ. გოგებაშვილის მთელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ლეიტმოტივი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლა, სამშობლოს კოლონიური მონობისაგან გამოხსნა და აღორძინება იყო. მიზნის განხორციელების მთავარ გზად, ისე როგორც ბევრ მის თანამედროვე სხვა მოღვაწესაც, ხალხის განათლება და ახალთაობის სწორად აღზრდა მიაჩნდა. სახალხო განათლების დარგში მის მუშაობას თავისი ხალხის ბედნიერი, თავისუფალი ცხოვრების გზაზე გამოყვანის დაუტყობილელი სურვილი ჰქონდა. კეთილშობილური სულისკვეთება ედო საფუძვლად, და ამიტომაც მისი მოღვაწეობა ამ დარგში გახდა ესოდენ ნაყოფიერი. მის მიერ დიდი პედაგოგიური ოსტატობით შედგენილ სახელმძღვანელოებზე — „დღეა ენა“, „ბუნების კარი“ და სხვა მხატვრულ ნაწარმოებზე იზრდებოდა მრავალი თაობა.

დიდ ილიასა და აკაკისთან ერთად გოგებაშვილი უღვიძებდა ხალხს ეროვნულ თვითშეგნებას, მხატვრულობისადმი ზნობს, უნებრავდა საკუთარი ღირსების დაცვისათვის ბრძოლის სულისკვეთებას, აყვარებდა მშობლიურ ენას.

გოგებაშვილი ხალხის შვილი იყო, „შუა ქართლში დაბადებული და დაბადებიდან ხალხის კალთაში გამოზრდილი“, — როგორც თვითონ წერდა. ამიტომ იცნობდა ასე ახლო იგი ხალხის ჭირ-ვარამს, განიცდიდა მის ტყვეობებს.



ი. გოგებაშვილი

უღაოა, რომ გოგებაშვილის მსოფლმხედველობა და მთელი მისი მეტრძოლი სულისკვეთება თავისი ხალხის ისტორიულ-საზოგადოებრივი ცხოვრების მკვიდრი ნიადაგზე ყალიბდებოდა, მაგრამ მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონიეს აგრეთვე დიდმა რუსმა დემოკრატმა მოაზროვნეებმა, მე-19 საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეებმა: გერცენმა, ბელინსკიმ, ჩერნიშევსკიმ, დობროლიუბოვმა და სხვებმა, და რუსეთის იმდროინდელმა მძლავრმა მხატვრულმა ლიტერატურამ. ის ის დროა, როცა მოწინავე ინტელიგენცია გამოფხიზლებული იყო, ერთი მხრივ, დასავლეთ ევროპის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობებით და, მეორე მხრივ, თვით რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებაში შედეგად მზარდ საწარმოო ძალთა და არსებული ფეოდალურ-საზოგადოებრივი ურთიერთობას შორის წინააღმდეგობათა უაღრესი გამძაფრებით. მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ეს გამძაფრება გამოხატულებას პოულობს ახალგაზრდობის ფართო ფენების განწყობილებაშიც. საზოგადოებრივი ცხოვრების ეს დუღილი შეიჭრა კიევის სასულიერო აკადემიის კედლებშიც, სადაც სწავლობდა ახალგაზრდა იაკობ გოგებაშვილი.

აკადემიაში ყოფნის დროს იაკობი გაცნო აგრეთვე სპენსერის, ჯონ ლოკის, კარლ ფოხტის, ბოლის, ფარადეის, ჰელმპოლცის, ბიუნენერის, სოციალ-უტოპისტების; რომერტ ოუენის, სენ-სიმონის, ფურერისა და ბოლოს დარვინის უკვდავ მოძღვრებას.

იაკობ გოგებაშვილი ღრმად დაეწეფა აგრეთვე რუსეთის მოწინავე თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი პედაგოგების ვოლოვიზოვის, კორფის, ტოლსტოის, პიროგოვის და განსაკუთრებით კი დიდი რუსი პედაგოგის კონსტანტინე უშინსკის პედაგოგიურ მოძღვრებას.

როგორც ცნობილია, თავისი ზოგად-პედაგოგიური და რეალისტური მოძღვრება უშინსკი ხალხურობის იდეას დაუკავშირა. ხალხურობის მთავარ და ერთ-ერთ განმასაზღვრელ ელემენტად უშინსკის მშობლიური ენა მიიჩნია. „მოკლეა ენა და მოკლეა ხალხის“, — ამბობდა უშინსკი. რასაკვირველია, ეს ქვეშაობრივ სწორი აზრი არ შეიძლებოდა გოგებაშვილის პატრიოტულ გულს ღრმად არ ჩაწვდომოდა და ამიტომაც იყო, რომ იგი ბოლომდე თანხმდებოდა და თანამოაზრე იყო კ. უშინსკის.

ისევე როგორც უშინსკი, გოგებაშვილიც ხალხში განათლების შეტანის გზით ფიქრობდა არა მარტო სოციალური, არამედ ეროვნული ტყვეობების მოშუშებას და განკურნებას. ისევე, როგორც უშინსკის არასოდეს არ სჭერია სახელმწიფო ორგანოებში ოფიციალური თანამდებობა მისი რადიკალური დემოკრატიული იდეების გამო, იაკობ გოგებაშვილიც გორის საოსტატო სემინარიაში მუშაობის სულ მოკლე დროში მეფის „გზამკვლევის“ მიერ ცნობილ იქნა არასაიმედო პირად და მესამე მუხლის ძალით მას აეკრძალა რაიმე თანამდებობის დაკავება. გოგებაშვილს მიანდა, რომ ქართული ენის სკოლიც განდევნა მოსაწყვეტად არა მხოლოდ ქართველი ხალხის გარუსებას, მისი ეროვნული სახის წაშლას, არამედ თვით სწავლა-აზრდის საქმის ჩაშლასაც. უშინსკის მსგავსად, ი. გოგებაშვილი ამბობდა: „...დღეა-ენა არის ძვირფასი საღარიბო, დაუხრულებელი რვეული, რომელშიც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნაოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აუცილებელია მთელს ენის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მას სულეგრის ღრნით და მხნეობით“.

სახალხო სკოლებში ქართული ენის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის საჭირო იყო მეცნიერულ-პედაგოგიური და მეთოდური მოთხოვნების მიხედვით გამართული სახელმძღვანელოების შედგენა. მანამდე არსებული სახელმძღვანელო წიგნები — ივანე კერესლიძის, პლატონ იოსელიანის, ფურცელაძის, უშიაშვილის, მდივანოვის და სხვ. ძველ, სკოლამეცნიერ პრინციპებზე იყო აგებული და სათანადო ცოდნას ვერ აძლევდა ახალგაზრდობას; ამიტომაც იაკობ გოგებაშვილი მისი მოღვაწეობის პირველი დღიდანვე შეუდგა მეცნიერულად გამართული სახელმძღვანელოების შედგენას. მისმა სახელმძღვანელოებმა ქართველთა მრავალი თაობა აღზარდა. ისინი ნაწევარ საუკუნეზე მეტი დროის განმავლობაში კვებდნენ ქართველ ახალგაზრდობას მდიდარი და ნოყიერი სულიერი საზრდოთი, გადმოსცემდნენ

ქართველი ხალხის, მის წინაპართა ყველა მოწინავე ნააზრებას და ნაფიქრალს და შეძლებისდაგვარად — იური ლებდნენ მკითხველთ ამ დროისათვის კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა-გამოცდილებით, იცადნენ, ინახავდნენ და ამტკიცებდნენ ქართველ ხალხში არსებულ ჯანსაღ ზნეობრივ შეხედულებებსა და ქვეყნის ტრადიციებს, გზამკვლევენ ცრუ, მავნე და ჩამორჩენილ ადამიანებს, ამასთან ერთად ნერგავდნენ მათში ახალი ცხოვრების შესაბამის მაღალზნეობრივ იდეებსა და ქვეყნის წესებს, ეს სახელმძღვანელოებმა აღვიძებდნენ და ამაღლებდნენ ხალხის ეროვნულ თვითშეგნებას, სწორად აცნობიერებდნენ მათ ეროვნულ ინტერესებს და ამით რაზმავდნენ ხალხს მათი სოციალ-პოლიტიკური და ეროვნული აღორძინებისა და ეკთლდღეობისათვის საბრძოლველად. ისინი აყვარებდნენ ქართველ ხალხს მშობლიურ ენას და ამით უკეთ ახედებდნენ ახალგაზრდობას თავისი ხალხის წარსულსა და აწმყესში, მათ სულიერ საუფენში, ამით ისინი უკეთ აყვებდნენ მათ თავის ხალხთან და ხილდნენ მათი ჭირვარების მოზარედ.

რასაკვირველია, როგორც განმანათლებლური ტიპის მოღვაწის — გოგებაშვილის ყურადღების ცენტრში მოქცეული იყო სახალხო განათლების საქმე, რადგან ამ გზით ფიქრობდა იგი ეროვნული და სოციალური ტყვეობების მოშუშებას, ქვეყნის აღორძინებას, მაგრამ, როგორც თავისი დროის ერთგულ-განმანათლებლებელ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ამით არ კმაყოფილდებოდა. იგი გამოდიოდა თავისი კალმით და პრაქტიკულ-ორგანიზატორული საქმიანობით ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებრივ საკითხების გადაჭრისათვის დაუცხრომელ მებრძოლად.

ზოგჯერ ფიქრობდნენ, რომ ი. გოგებაშვილი კ. უშინსკის მიმამძვლი და მისი მორჩილი მიმდევარი იყო ყველაფერში, მაგრამ ეს ასე არ არის. იგი თავისი ქვეყნის დამოუკიდებელი მოაზროვნე და მოღვაწე იყო და მოღვაწეობის მასშტაბით კიდევ განსხვავდებოდა უშინსკისაგან. კ. უშინსკის მოღვაწეობა უპირატესად განათლებისა და პედაგოგიურ მეცნიერებათა საკითხებით იმართლებოდა. ი. გოგებაშვილი კი, როგორც ჩაგრული ქვეყნის წარმომადგენელი, გარდა სახალხო განათლების საკითხებისა, გვერდს ვერ უხევდა ეროვნული ხასიათის სხვა საკითხებორც საკითხებს.

ი. გოგებაშვილი განათლების ბევრ საკითხებშიაც დამოუკიდებელი მოაზროვნე და მოღვაწე იყო. ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები გამოირჩევა ორიგინალობით, თავისუფალია როგორც უშინსკის, ისე დასავლეთ ევროპის პედაგოგების უშუალო მიმამძვლელობისაგან. აი რას წერდა თვით ი. გოგებაშვილი ამის შესახებ: „უშინსკი დიდი ნიჭის პატრონი იყო, წმინდა წყლის პედაგოგი, რომელსაც თვით მოწინავედგენენ დიდ პედაგოგად იხსენიებდნენ... პირადად მე დიდად ვა-

ფასები ყოველთვის უშინკის შეუდარებელ ნივსა და ღვაწლსა, მისი ნათელი მიმართულება და ღრმა აზრები ანდამატებით მოზიდვადნენ, და ჩემს წერილებში მოიპოვება არა ერთი ადგილი იმისი სხუთლებიდან, მაგრამ სახელმძღვანელოების შედგენაში კი საკუთარს გზას ვადექი და ვადგევარ, მეტადრე ჩემი მოღვაწეობის მეორე ნახევარში“. ქვეით გოგებაშვილი განაგრძობს: „მიბაძვით შედგენილი სახელმძღვანელო მერტ ნაკლებობით მოკლებულია სულსა და გულსა, მასში არა ღვინის ცხოველ-მყოფელი ნაპერწკალი, მოსწავლენი მას ყოველთვის გულგრილად ეპყრობიან, იგი ვერ უძლებს კონკურენციას და მოკლე დღე აქვს“ (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. IV, გვ. 444).

ჩვენი სახელოვანი მწერალი ეგნატე ნინოშვილი მიმართავდა გოგებაშვილს: „ვიც იქნება დღეს წერა-კითხვა იცოდეს და თქვენ ვერ გიცნობენ? განა ყველა თქვენგან შედგენილ სახელმძღვანელოებზე არ აღვიზარდეთ? თქვენი შედგენილი სახელმძღვანელოებით ვისწავლეთ წერა-კითხვა, თქვენ შეგვაყვარეთ სამშობლო და მისი ენაო“. გერმანულ ენაზე გამოცემული წიგნის „ქართული პოეტების“ წინასიტყვაობაში არტურ ლეისტი წერდა: „ქართველებს აქეთ სახელმძღვანელო წიგნები — გოგებაშვილის მიერ შედგენილი, რომელიც გინდა ვეროპის: ლიტერატურასა და საზოგადოებრივ“. ამ „დღეა ენას“, რომლითაც მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სწავლობდა წერა-კითხვას ქართველი ხალხი, საოცარი პედაგოგიური გულმოდგინების, საქმის ღრმა ცოდნისა და სიყვარულის ბეჭედი აზის. ასევე სამადგომო წიგნი და თავისი დროისათვის უდიდესი მნიშვნელობის იყო მეორე სახელმძღვანელო „ბუნების კარი“.

გოგებაშვილი ღრმად ფლობდა მისი დროის პედაგოგიურ თეორიას. მის მრავალრიცხოვან პედაგოგიურ-თეორიულ შრომებსა და წატყულებში ბევრი ახალი და სასარგებლო იდეები იყო მოწყენებული.

სწავლა-აღზრდის ძირითად მიზნად იგი ახალგაზრდობის პარმონიულ განვითარებასა და ყოველმხრივ მომზადებას მიიჩნევდა. იგი მოითხოვდა „ახალი ტიპის ქართველობის“ აღზრდას. ეს ახალი ტიპის ქართველები უნდა ყოფილიყვნენ სინდისიერი და პატივმოყვანი, სახალხო მოღვაწენი, მაღალი ზნეობითა და ღრმა ცოდნით აღჭურვილი, თავისი სამშობლოს პატივით, ძლიერი ნებისყოფის ადამიანები, შეუპოვარი, მამაცი და უშიშარი მებრძოლები პრაქტიკულ ბრძოლაში. იგი მოითხოვდა, რომ სკოლამ პრაქტიკული საქმის უნარის მქონე თაობა უნდა აღზარდოს, თავმომდებლად იცავდა რეალურ განათლებას, ამასთანავე წინააღმდეგი იყო ვიწრო პროფესიონალობისა სწავლა-აღზრდის საქმეში.

გარდა პედაგოგიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პუბლიცისტურ-პოლემიკური ხასიათის წერილებისა, ი. გოგებაშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მრავალი მხატვრული ნაწარმოები საბავშვო ლიტერატურაში. იგი წერდა ბავშვებისათვის ლამაზი და მისაწვდომი ენით, მაღალი იდეური შინაარსით. მისი საბავშვო წიგნები მტკიცედ წერაგავდა ახალგაზრდობის გულში სწავლის წყურვილს, სიყვარულს და პატივმოყვანობას. იგი წერდა ბავშვებისათვის მთელი საკოლბუნი „შემოღებულ მუნჯურ მეთოდს, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის გარუსებას.

ი. გოგებაშვილი გაბედულად, ბასრი პუბლიცისტური ენით ებრძოდა ქართული ენის მტრებს: რეაქციონერ იანოვსკის, ზავადსკის, სლავინსკის, ანაფორაში გახვეულ ჟანდარმ ეოსტრატოვს და მსგავს ავანჯებს: იგი წინააღმდეგ იანოვსკის მიერ სკოლებში „შემოღებულ მუნჯურ მეთოდს, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის გარუსებას.

ი. გოგებაშვილი ილიასა და აკაკისთან ერთად ერთ-ერთი ინიციატორი და დაარსების ორგანიზატორი ქართველი „შროის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, რომელსაც სიკვდილის შემდეგ დაუტოვა მისი წიგნების მთელი შემოსავალი.

ი. გოგებაშვილს თავისი ხალხისათვის თავდადება და უნაგარო პატივითობა სრულყოფილი ხელს არ უშლიდა ყოფილიყო გულისსმირი სხვა ხალხებისადმი. იგი ფართოდ ეხმარებოდა ირლანდიის მშრომელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და გამოხატავდა ინგლისის იმპერიალისტურ პოლიტიკას, დიდი სიმპათიით იყო აკიბი განწყობილი იტალიის ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის — გაბრიელის მიმართ.

ი. გოგებაშვილს მშვენივრად ესმოდა დიდ რუს ხალხთან ქართველი ხალხის კავშირის მნიშვნელობა, ამიტომ მოითხოვდა რუსული ენის ღრმად დაუფლებას.

„რაც შეეხება კერძოდ რუსულს ენასა, — წერდა იგი, — ჩვენთვის, ქართველებისათვის, მას მრავალ-გვარი მნიშვნელობა აქვს. იგი არის, პირველად, სახელმწიფო ენა, სავალდებულო ყველა ქვეშევრდომ ხალხთათვის; მეორედ, იგი კულტურული ენაა, რომლის დახმარებით ვითვისებთ ევროპულს განათლებას და რომელსაც მიუხედავად მთელს მნიშვნელობა ერთის მსოფლიო ენისა; მესამედ, იგი არის ენა ხალხისა, რომლის ბედიან ისტორიამ და ხალხის სურვილმა შეაერთა ბედი საქართველოსი. ამიტომ რუსული ენა უნდა მიუცილებლად მისდევდეს ქართულ ენასა, როგორც სკოლაში, ისე სახლში, და ქართველნი უნდა ვცდილობდეთ სრულად შევითვისოთ ეს ენა და მისი ლიტერატურა“.

ამიტომაც იყო, რომ მან საოცარი გულმოდგინებით და მაღალ პედაგოგიურ-დიდაქტიკურ მოთხოვნათა საფუძველზე შეადგინა ქართული ბავშვებისათვის რუსული ენის შესასწავლი სახელმძღვანელო.

ამ სახელმძღვანელოს შესახებ რუსეთის აკადემია წერდა, რომ სხვა ხალხთა მიერ რუ-

სული ენის შესასწავლად შედგენილ უამრავ სახელ-
მძღვანელოთა შორის იშვიათად შეიძლება შეხვდეთ
ისეთ მშვენიერ, მაღალნიჭიერ სახელმძღვანელოს, რო-
გორიცაა გოგებაშვილის შრომა (ლაპარაკია „რუსკოე
სლოვოზე“ — გ. კ.). მასალა, რომელსაც იგი იძლევა,
მეტისმეტად უხვია და რაც მთავარია — მკაცრად თან-
მიმდევრულია.

ი. გოგებაშვილი ბოლომდე თანმიმდევრული მოლ-
ვაწე იყო. იგი მამობრივ მზრუნველობას უწყევდა, მორა-
ლურად თუ მატერიალურად ეხმარებოდა ხელოვან

ქართველ საზოგადო მოღვაწეებს. მწერლებსა და პე-
ტებს. იგი მეცენატობდა ბევრ ქართველ ნიჭიერ მწერ-
ელს, გზავნიდა მათ რუსეთსა და უცხოეთში სას-
წავლებლად და ეხმარებოდა ნივთიერადაც.

მაღლიერი ქართველი ხალხი დიდი სიყვარულით აღ-
ნიშნავს შესანიშნავი ქართველი მოღვაწის ი. გოგებაშვი-
ლის დაბადების 120 წლისთავს, სწავლობდა და იცვლეს
მის მემკვიდრეობას და მოღვაწეობას და ამით უკვდე-
ყოფს მის სახელს.

ნ ა ვ ი ... ქ ა ლ ა ლ დ ი ს ა გ ა ნ

ქალაქისაგან შეიძლება დამზადდეს ისეთი ნავი, რომლითაც
ადამიანს შეეძლება ცურვა. მის დასამზადებლად საჭიროა ძველი
გაზეთები, წებო, საღებავი, ლარტუები, ფანერი და, რაც მთავარია,
ლუგავი, რომელზეც იწებება ნავი. ლუგავად შეიძლება გამოყენებულ
იქნეს მზა ნავი. ყველაზე ადვილია ბაილარას დამზადება.

იღებენ ხს ბაილარას და ფსკერით ზემოთ ღებენ მაგიდაზე.
შემდეგ მას თხელ ფენად უსვამენ ტექნიკურ გაზეთის, ქალაქი
რომ არ მიეცას. ფსკერისა და ქიმების ზედაპირზე იწებენ გაზე-
თებს. ამ სამუშაოს ასრულებს სამი კაცი: ერთი წებოს უსვამს გა-
ზეთს, მეორე — აკრავს, ხოლო მესამე ხელისუფლითა და ნაჭრით
ასწორებს, დევნის ქალაქის ფენებს შორის მოხვედრულ ჰაერს.

დაწებვის შემდეგ საჭიროა შესვენება გაშრობის მიზნით. ზაფხუ-
ლის ცხელ ამინდში გასაშრობად საკმარისია 1 დღე, ხოლო ზამთარ-
ში — 5-6 დღე.

4-15 მ სიგრძის ბაილარასთვის საჭიროა 250-300 გაზეთი.
ფურცლების დასაკრავად იყენებენ ქაწივისა და საღურგლო წებოს
ან სახამებლიან რუბცოს. საღურგლო და სახამებლიან წებოებს უმა-
ტებენ ქრომიან შავს და ორქოშმამავა კალიუმს (8-10 გ ერთ
ლიტრზე).

გაზეთების კარგად გაშრობის შემდეგ მახვილი დანით აჭრიან
ქიშკე გაღმურებულ ქალაქს და დაწებულ ნავს ხსინა ლუგე-
დან. მეტი სამაგრისათვის ნავს შეიძლება შემოეყრას დოლბანი.


შემდეგ ბაილარას გარედან და შიგნიდან უღინთავენ მურაცხით.
ცხელ (მაგამ აუღლარა) მურაცხს აწებენ ცოცხა რაოდენობის
ნავსა ან ბენზინში. იგი ცეცხლსაფრთხე ნაერთია და ამიტომ ბაი-
ლარას შეწევა უნდა ხდებოდეს ღია ცის ქვეშ თბილ და მშრალ
ამინდში ფურცლების თანდასწრებით. გაუღნეილად და გამშრალ ბაი-
ლარას ორ-სამჯერ ღებენ და ფერის ზეთის საღებავით, კორპუსი
ისე მაგარი გამოდის, რომ ხის ჩონჩხიდან არ სჭირდება.

დეკის (გემზანის) დასამაგრებლად ქიმების გასწვრივ პატარა
ლურსნენით იყვრება 10×25 მმ კვეთის ლარტა (ორ-ორი თითო-
ეულ ქიშკ). ქალაქი მტკიცე ლარტაებს შორის და მიიღება თა-
ვისებური მისაღვამი ძელები.

კოკიტს — ხერტს დეკში, სადაც თვისდება მენიჭე, წინიდან
და უკნიდან ფარგლავენ ბიშსებით, ხოლო გვერდიდან — წიბო-
ზე დაუწებელი ცრუქიმებით — ლარტებით.

ღირფიცის დეკს აქედლებენ მისაღვამ ძელბებს, ბიშსებს და
ცრუქიმებს. დეკს გამოჰყან ფირფიცის ოთხი ნაჭისაგან ცალ-
ცალ ცხვირის, კინისა და ორი გვერდითი ნაწილისათვის. დეკს
ცხვირის ნაწილზე მაგრდება ფირფიცის ტალღისებრი. ფირ-
ფიცის მიქცევაზედ ორივე მხრიდან ღებენ ზეთის საღებავით.
ნიშნისათვის იღებენ 25 მ სიგრძის ლარტას და მასში ამაგრებენ
ფირფიცის ფორებს.

ქალაქის ნავი დიხანს არ უნდა გაჩერდეს წყალში, ყოველი
ცურვის შემდეგ უნდა გაშრეს და შეინახოს დაბურულ შენობაში.
ნავით უნდა ისარგებლოს მხოლოდ ცურვის მცოდნე და ქიშკე
ყოველთვის უნდა იყოს საშველი მოწყობილობა. ქალაქის ნავი
იწოის 10-12 კგ.



ფურცლების დეკრა ხდება წრიულად. მაგალითად, დეკრას
იწყებენ ცხვირიდან მარჯვენა ქიშკე და მიდიან ამ ქიმის გასწვრივ
კიბომდე, შემდეგ გადადიან მარცხენა ქიშკე და აკრავენ მის ზედა-
პირს. ფურცლები ისე უნდა დაწებდეს, რომ ფსკერის შუაზე იხიწი
ერთიმეორეზე მოხდეს. ეს ამაგრებს ფსკერს. თუ ქიმი გაზეთის
ფურცლის 25-30 ფენისაგან შედგება, მაშინ ფსკერზე 50-60 ფენა
იქნება.

ქალაქის სქელი ფენა დიხანს არ შრება, შეიძლება წებო
გაფუჭდეს და შრომამ უქმად ჩაიაროს. ამიტომ ყოველი 5-6 ფენის

ჩვენსი პარტიის მიზანმიმართული მუშაობა

მ. კიხიძე
ტენიის მეცნიერებათა კანდიდატი

ინჟინერი გ. შავლაშვილი

ჩვეს ქვეყანაში მშენებლობის არსებული მასშტაბები და მძიმე ინდუსტრიის მძლავრი განვითარება აყენებენ ლითონის მაქსიმალური ეკონომიის საკითხს. ამ ამოცანის რაციონალურად გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალებაა ლითონის კონსტრუქციების მასობრივი შეცვლა ნაკლებად დეფიციტური და იაფი მასალებით, რომლებიც საესკებით პასუხობს ტექნიკურ-ეკონომიურ პირობებს.

ეს ამოცანა დღეისათვის წარმატებითაა გადაჭრილი სამშენებლო მრეწველობაში. მძლავრ ინდუსტრიულ ბაზაზე დაყრდნობით ნაკრები რკინაბეტონის დანერგვამ მშენებლობაში მაქსიმალურად შეამცირა ლითონის კონსტრუქციების გამოყენება, რამაც წლიურად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის 2-3 მლნ ტ ფოლადის დაზოგვის საშუალება მისცა.


მაღალი მარკის ბეტონის გამოყენება ზემტკივე არმატურის წინასწარი დამაბეით საშუალებას იძლევა განხორციელებულ იქნეს დიდი სიმაღლისა და სისისტის მქონე რკინაბეტონის კონსტრუქციები, რომლებიც ხანგრძლივად ეწინააღმდეგება განმეორებით და დარტყმით დატვირთვებს, ვიბრაციებსა და ზძივებს. კონსტრუქციების მშენებლობისას და სისისტის საგრძნობი გზარდა შესაძლებელია აგრეთვე მიღბეტონის გამოყენებით, სადაც ბეტონი მოთავსებულია ლითონის ხისტ გარსაში. ასეთი სისის მასალისაგან შესრულებული კონსტრუქციების სიმატკივე თითქმის 7-ჯერ იზრდება.

თანამედროვე რკინაბეტონის ყველა ეს თვისება შესაძლებელს ხდის დავყენოთ რკინაბეტონით ლითონის ფართოდ შეცვლის საკითხი არა მარტო მშენებლობაში, არამედ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც, კერძოდ მანქანათმშენებლობაში, სადაც არასტანდარტულ სამრეწველო დანადგარებში რკინაბეტონისაგან შეიძლება დამზადდეს დანები, ძალური ჩარჩოები და სხვა მზილი ეფემენტები. მათზე ამჟამად მოდის მანქანათმშენებლობაში ლითონის ხარჯის თითქმის 70 %.

უკანასკნელ წლებში სსრ კავშირში ჩატარებულმა სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო სამუშაოების შედეგებმა ნათლად დაადასტურეს მანქანათმშენებლობაში რკინაბეტონის გამოყენების ეფექტურობა, რაც გამოიხატება ლითონის კონსტრუქციებთან შედარებით შემდეგი ტექნიკურ-ეკონომიური უპირატესობით. რკინაბეტონის გამოყენებით ადვილი აქვს ლითონის დიდ ეკონომიას და მანქანის ან დანადგარის ღირებულების მნიშვნელოვან შემცირებას. გარდა ამისა, ლითონის დეტალების შეცვ-


ლა რკინაბეტონით გამოიწვევს მანქანათმშენებელი ქარხნების განტვირთვის მძიმე და მსხვილი გაბარიტების ფოლადის ან თუჯის ნაწარმის დამზადებისაგან, რომელთა დამუშავება და ტრანსპორტირება ზშირად დიდ სიძნელებებთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება რკინაბეტონით შესრულებულ დეტალებსა და კონსტრუქციებს, მათი დამზადება შესაძლებელია სამშენებლო ან სპეციალიზებული ორგანიზაციების ძალებით სათანადო ქარხნებში და პოლიგონებზე ნაკრები რკინაბეტონისაგან, ან უშუალოდ დანადგარის მონტაჟის ადგილზე მონოლითური რკინაბეტონისაგან.

გარდა ტექნიკურ-ეკონომიური უპირატესობისა, მანქანათმშენებლობაში რკინაბეტონის გამოყენებას აქვს მნიშვნელოვანი საწარმოო და საექსპლუატაციო უპირატესობანიც. რკინაბეტონის დგანები და ძალური ჩარჩოები ფოლადისა და თუჯის დგანებზე და ძალურ ჩარჩოებზე ბევრად უფრო ხისტი და დიდი განიკვეთისა და ძაბვის მცირე ცვლებადობის გამო. თუჯის დგანებთან შედარებით რკინაბეტონის დგანები შეიძლება შესრულდეს უფრო დიდი სისუსტით, რადგან თუჯის შეკლება დაახლოებით 50-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე რკინაბეტონის შეკლებითი დეფორმირების სიდიდე. გარდა ამისა,



ნახ. 1. კოლმნის ქარხნის 7288-C მოდელის გრძივდმარდავი ჩარჩო რკინაბეტონის საბაზო და ძალური დეტალებით: 1—დგანი, 2—მიმართვლი მაგიდა, 3—განივი რიგელი, 4—დგანები, 5—განივი

რკინაბეტონის ღვანები და სხვა ელემენტები (განსაკუთრებით კი წინასწარდაძებული რკინაბეტონისა) პრაქტიკულად უფრო დიდ ხანს იმუშავენ მრავალჯერ განმეორებით და ვიბრაციული სახის დატვირთვებზე არამტუ-



ნახ. 2. ТХБ-150-С მოდელის 150.000 ტ სიმძლავრის რკინაბეტონის საშტამო წნები (პროექტი): 1—ღვანი, 2—ზედა საშტამო ბლოკი, 3—მომსახურე მაგიდა, 4—ძალღვანი ცილინდრი

რასა და ბეტონში ცვალებადი ძაბვების ამპლიტუდის მცირე სიდიდის გამო.

აღსანიშნავია ისიც, რომ რხევითი ენერგიის შთანთქმა რკინაბეტონის კონსტრუქციებში დაახლოებით 5-ჯერ უფრო დიდია, ვიდრე ფოლადის კონსტრუქციებში.

ამგვარად, რკინაბეტონის ზემოაღნიშნული დადებითი თვისებები უზრუნველყოფს დამზადდეს ამ მასალისაგან უფრო ხისტი, ზუსტი და ხანგრძლივად მომუშავე ღვანებისა და ძალური ჩარჩოების კონსტრუქციები, ვიდრე ფოლადისა და თუჩისაგან.

ჩვენი ქვეყნის მძიმე მანქანათმშენებლობაში რკინაბეტონის გამოყენებისათვის მუშაობა ორი ძირითადი გზით მიმდინარეობს: რკინაბეტონის გამოყენება მძიმე ჩარხთმშენებლობასა და წნებთმშენებლობაში.

ხუთ წელზე მეტია, რაც კოლომნის მძიმე ჩარხსაშენებელ ქარხანაში ექსპლუატაციაშია უნიკალური სახის

7288-С მოდელის გრძივად მრანდავი ექსპლუატაციის ქარხნი, რომლის საბაზო დეტალები (ღვანი, მიმართულებით მაგიდა) და ძალური ჩარხის ელემენტები (ღვანები, ვანები რიგული, განივა) დამზადებულია რკინაბეტონისაგან. რკინაბეტონის დეტალები მოთავსებულია 1,5 მ სისქის ფურცლოვანი რკინის გარსცემში, რომელიც ასრულებს ყალიბის როლს, იცავს ბეტონს მექანიკური დაზიანებისა და სამანქანო ზეთის მავნე ზეგავლენისაგან. ამ დაზიანების რკინაბეტონის გამოყენებით დამზადებული შემდგენიარად: ფურცლოვანი რკინის ერთიმეორესთან შედუღებით აკრებილ იქნა დეტალების ყალიბი. სისხტის გასაზრდელად ლითონის ყალიბში მოეწყო სისხტის წიბოები და შეერთებები. შემდეგ ყალიბი შეივსო გაფართოებად ცემენტებზე დამზადებული სხმული ბეტონით, რომლის სიმტკიცე 7-10 დღის შემდეგ 250-300 კგ/სმ² აღწევდა.

7288-С მოდელის ჩარხის ექსპლუატაციამ 5 წლის განმავლობაში გვიჩვენა, რომ თუჩისაგან დამზადებულ ჩარხებთან შედარებით რკინაბეტონის დეტალების გამოყენებით დამზადებული ჩარხები ბევრად უფრო ნაკლებ დეფორმაციას განიცდის ღრის განმავლობაში და მათზე შესრულებული პროდუქციის ხარისხი უფრო მაღალია.

შედარებისათვის დამზადებული იყო ამავე მოდელის მეორე ჩარხი თუჩის საბაზო დეტალებით. რკინაბეტონის დეტალებიანი ჩარხის დასამზადებლად დაიხარჯა 120 ტ ლითონი, ხოლო ჩარხზე, რომლის საბაზო დეტალები თუჩისაგან იყო შესრულებული 360 ტ. ე. ი. რკინაბეტონის გამოყენებამ 7288-С მოდელის ჩარხის საბაზო დეტალებში მისცა ლითონის 70% ეკონომია, რაც გამოიხატა მხოლოდ ერთი ჩარხის დამზადებაზე 240 ტ თუჩის დაზოგვაში. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ რკინაბეტონის გამოყენებისას მძიმე ჩარხების დამზადებაზე დაიხარჯება დაახლოებით იმდენი ლითონი, რამდენიც დაიკარგება ბურბუშელის სახით ლითონისაგან შესრულებული საბაზისო დეტალებიანი ჩარხის ზედაპირის მექანიკური დამუშავების დროს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ შედარების პრით დამუშავება (მექანიკური დამუშავება) ყველაზე ძვირი და შრომატევადი სამუშაოა. მასზე იხარჯება მანქანებისა და დეტალების დასამზადებლად საჭირო შრომითი დანახარჯების 70%-მდე. მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს რკინაბეტონის დეტალებიანი ჩარხების უპირატესობას ლითონის ჩარხებთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ რკინაბეტონის გამოყენება მანქანათმშენებლობაში ახალი საქმეა როგორც სსრ კავშირში, ასევე საზღვარგარეთაც. ჩარხთმშენებლობაში



რკინაბეტონის გამოყენების გარკვეული პრაქტიკა აქვთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში; კერძოდ, რკინაბეტონის დეტალებიანი ჩარხები წარმატებით მზადდება უზანის მძიმე ჩარხსაშენებელ ქარხანაში.

1956 წლიდან სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებები მუშაობენ 150.000 ტ-იანი და მეტი ზემძლავრი წნეხების დამზადებაზე წინასწარდაძახული რკინაბეტონის გამოყენებით. მშენებლების წინაშე ასეთი წნეხების შექმნის ამოცანა დაისვა იმის გამო, რომ სპეციალისტები წნეხთმშენებლობის დარგში შეეჯახნენ დიდ სიძნელეებს ზემძლავრი წნეხის ლითონში დაპროექტების დროს მისი ძალზე დიდი გაბარიტებისა და სიმძიმის გამო, რაც შეუძლებლად ხდის წნეხის ტრანსპორტირებას. ჩვენი მრეწველობის ზოგადი დარგი კი მოითხოვს 200.000 ტ და მეტი სიმძლავრის წნეხებს.

უკვლავ მძლავრი ლითონის წნეხი აიგო 1957 წელს აშშ-ში. მისი სიმძლავრეა 45.000 ტ. სპეციალისტების საერთო აზრით, ლითონის წნეხის მაქსიმალური სიმძლავრე აქამდე შესაძლებელია იყოს არა უმეტეს 70.000 ტ, მაშინ, როდესაც რკინაბეტონის წნეხების სიმძლავრე შეიძლება რამდენჯერმე მეტიც იყოს.

ცნობილია, რომ დაახლოებით 20 წლის წინათ გამოჩენილმა ფრანკმა ინჟინერმა ფრეისინგმა თავის ლაბორატორიაში პირველმა შექმნა გვირაბის ტიპის საცდელი წნეხი, რომლის წინასწარდაძახული რკინაბეტონის ჩარჩო გაანგარიშებული იყო 14.000 ტ ძალაზე.


რკინაბეტონის ზემძლავრი წნეხების პროექტირებასთან ერთად მიმდინარეობს 6, 15 და 25 ათასი ტ-იანი წნეხების პროექტირებაც. ამჟამად დამთავრებულია 6000 ტ სიმძლავრის წნეხის პროექტირება და უკვე შეუდგნენ მის განხორციელებას რკინაბეტონში. აღსანიშნავია, რომ ეს წნეხი იქნება ზემძლავრი წნეხების მოქმედი პოდელი. წინასწარმა ტექნიკურ-ეკონომიურმა ანალიზმა ცხადყო, რომ წინასწარდაძახული რკინაბეტონის გამოყენება წნეხთმშენებლობაში გვაძლევს ღირებულების მნიშვნელოვან შემცირებას და ლითონის დიდ ეკონომიას როგორც ზემძლავრ, ისე შედარებით მცირე სიმძლავრის წნეხებში.

ჩვენი რესპუბლიკის მანქანათაშენებელი ქარხნები ძირითადად ამზადებს მცირე და საშუალო გაბარიტების სერიულ ჩარხებს. რკინაბეტონის გამოყენების შემთხვევები ასეთ ჩარხებში სსრ კავშირში და საზღვარგარეთ თითქმის არაა, რაც მნიშვნელოვნად აძნელებს შესაძლებელ ტექნიკურ-ეკონომიურ ეფექტის წინასწარ განსაზღვრას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტში ამ მიმართულებით ჩატარებუ-


ლი წინასწარი სამუშაოების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ფოლადისა და თუჯის რკინაბეტონით შეცვლა მცირე და საშუალო მშარბოებლობის სერიულ ჩარხებში მოგვცემს გარკვეულ ტექნიკურ-ეკონომიურ ეფექტს. უპირველეს ყოვლისა, მიღწეული იქნება ლითონის მნიშვნელოვანი ეკონომია სერიული ჩარხების დამზადების მასობრიობის ხარჯზე. გარდა ამისა, საგრძნობლად შემცირდება სამუშაოთა შრომატევადობა და საერთო ღირებულება რკინაბეტონისაგან დეტალების შექმნის, მათი დამზადების პროცესების მაქსიმალური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ხარჯზე. აღსანიშნავია ლითონდასამუშავებელი ქარხნებისა და სატრანსპორტო საშუალებათა განტვირთვის საშუალებაც რკინაბეტონის დგანებისა და სხვა დეტალების აღიგლვებ განხორციელებით ანდა ნავრები რკინაბეტონის ქარხნებში მათი დამზადების გზით. პროდუქციის დამუშავების სიხუსტის გაზრდა, რასაც მივაღწევთ რკინაბეტონისაგან უფრო ხისტი, ზუსტი და ხანგრძლივად მომუშავე ელემენტების დამზადებით, აგრეთვე ერთ-ერთი წინაპირობაა რკინაბეტონის საშუალო და მცირე ჩარხთმშენებლობაში გაოსაყენებლად.

1960-1961 წლებში საქართველოს ჩარხთმშენებელთა და მშენებელთა წინაშე დგას მილმოსატყევი 2K73 ტიპის ჩარხის ლითონის დგანის რკინაბეტონით შეცვლის ამოცანა. გათვალისწინებულია 1961 წლის ბოლოსათვის



ნახ. 8. 2K73 ტიპის მილმოსატყევი ჩარხი, რომლის დგანი განხორციელებული იქნება რკინაბეტონისაგან

ამ ჩარხის საცდელი ნიმუშის დამზადება. ექსპერიმენტული ჩარხის საექსპლუატაციო მაჩვენებლების შესწავლა საშუალებას მოგვცემს ფართოდ დავენერგოთ რკინაბეტონი მცირე და საშუალო მანქანათმშენებლობაში.



გერმანია

გიგანტური როტორული მასტაბატორი

ამას წინათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ააგეს მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი როტორული ექსკავატორი, რომელიც განკუთვნილია ქვანახშირის ღია დაწეშვებისათვის. ასეთი ექსკავატორის მთავარ მუშა ელემენტებს წარმოადგენს 3,2 მ დიამეტრის მქონე როტორიანი თვალი ფულაის რვა ფრთა-ჩამოთ. ეს მუშა თვალი



თავსდება გრძელი ისრის ბოლოზე. ისარი თავისუფლად გადაადგილდება სულ სხვადასხვა მიმართულებით. გრუტი თუ ნახშირი, აღებული ჩამჩბით, ხვდება ისრის შიგნით ტრანსპორტიორის ლენტზე და გადაადგილდება მეორე ტრანსპორტიორის ლენტისაკენ, რომელიც მოთავსებულია მეორე ისარზე. ამგვარად გრუტი სწრაფად გადაადგილდება დაწეშვების ადგილიდან 120 მ-მდე მანძილზე. ახალ მაქინას შეუძლია ერთი ცვლაში ამოიღოს და გადაიტანოს 34 ათასი ტონა ან დატვირთოს 1700 სატყინავო ვაგონი.

ექსკავატორი მუშაობს ელექტროძრავით და გადაადგილდება ექვსი მუხლმობიანი, რომელთაგან თითოეულის სიგრძე 11-11 მეტრია.

ასეთი ექსკავატორის მთავარი უპირატესობა მისი უწყვეტი მუშაობა. იგი დროს არ კარგავს ისრების გაშლას და ჩამჩბების

დატვირთვაზე, როგორც ეს ხდება ჩვეულებრივ ექსკავატორში.

ახლანა გერმანულმა ექსკავატორმა მუშაობა დაიწყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შერანახშირის ერთ-ერთ აუზში, სადაც ნახშირის მოპოვება წარმოებს ღია წესით.

ორმეტრიანი სარკიანი ტილესკოპი

იენის მახლობლად (გერ) მომდინარეობს გაცხოველებული მუშაობა ახალი ობსერვატორიის ასაგებად. იგი აღებული იქნება ტელესკოპი. შენობას, სადაც დაიდგმება ტელესკოპი, აქვს 20 მ დიამეტრის მქონე გუმბათი. სპეციალური სისტემა საშუალებას მოცემს ტელესკოპს თავისუფლად იმოძრაოს ორ სიბრტყეში, ადვილად დავრბინოთ იგი ციხ ნებისმიერ წერტილს და აგრეთვე ავტომატურად გაგვიჩრთოს აპარატი მოცემულ მდგომარეობაში.

წინა დღეებისა, რომლებზეც ტელესკოპი დამტკიცებული, და მთელი აპარატურისა ყველა მოწყობილობით, 60 ტონაა. ამ მოწყობილობის კიბლანური გადაცემის შესაქმნელად, რომელიც აბრუნებს ტელესკოპს, საჭირო გახდა განსაკუთრებული კიბლსარეგულირებელი ხარახის დადგენა. ხარახი საშუალებას იძლევა კიბლანების ამოტარა წარმოებულ იქნეს უაღრესი სიუსტოტით.

დიდი სიძნელეების გადალახვა იყო საჭირო ტელესკოპის საკის შექმნისას. ერთ-ერთ ქარხანაში ჩამოსხმულ იქნა საკისი უზარმაზარი ზოლი 2 მ და 8 სმ დიამეტრით და 82 სმ სისქით. მისი ჩამოსხმისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ერთგვაროვანი სტრუქტურის მინის შექმნას, შიგა ძაბვების ერთგვარულობას. ამის შემდეგ მოხდა 2700 კგ წონის ბლოკის შემდგომი დაწეშვება და სამ გიგანტურ საკრელ გადატვირთვა.

ტურბოგრაძტიული თვითმფრინავი „152/II“

საავიაციო მრეწველობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ახალი დარგია. იგი შექმნილია საპოთა კავშირის მშენებელ დანარკ-

ბის შედეგად. ჩვენამდე მოსულია სატრანსპორტო თვითმფრინავი „152/II“-ის ტექნიკური დოკუმენტაცია და სხვა მონაცემები. დრეჟინის საწარმოებში მოხდა ამ თვითმფრინავის შედგენილი მოდერნიზაცია და ამით საფუძველი ჩაეყარა სახალხო საავიაციო მრეწველობის განვითარების რესპუბლიკაში.


„152/II“-ის წარმოების ათვისების შემდეგ გერმანულმა კონსტრუქტორებმა დაიწყეს ტურბოგრაძტიული სიმაღლის დაწეშვება. ამჟამად აგებულია ასეთი თვითმფრინავი „152/II“-ის სახელწოდებით და დაწყებულია მისი სერიული გამოშვება.

თვითმფრინავი „152/II“ გამოდის სამი ვარიანტით — 48, 58 და 72 მგზავრისათვის. მისი გარდაქმნა ადვილად შეიძლება შერეულ სამგზავრო-სატვირთო და წინადა სატვირთო ვარიანტად. თვითმფრინავის ეკიპაჟი შედგება ოთხი კაცისაგან: პირველი და მეორე პილოტისა, ბორცვადიდისა და ბორცვინჟინისაგან. ეკიპაჟისა და მგზავრების კაბინა პერმეტრობულია და კარგადაა ბეჭერილირებული ძრავების მძაფრისაგან. სპეციალური მოწყობილობა ატვირთვების კაბინებში ტემპერატურას, პარკის ტენიანობას და იცავს მუდმივ წინება, რომელიც შენებაზე 1000 მ სიმაღლეს.

თვითმფრინავის კონსტრუქციისათვის დამახასიათებელია მონოლითური დეტალების გამოყენება. თვითმფრინავის ის ნაწილები, რომლებიც წინათ ერთმანეთს უერთდებოდა მოქლონით ან შედუღებით, ამჟამად იფრუება. იკვდება ან იწუნება ერთი ნაწილისაგან. ამიტომ ისინი დიდ დატვირთვას იძენენ.

თვითმფრინავი „152/II“-ზე დაეწეშულია ოთხი ტურბოგრაძტიული ძრავა „პირან-014“. ისინი განლაგებული არიან შეწყვეტილებულ ფრთის ქვემოთ გონივრულში. თითოეული მათგანის სიმძლავრე (წევა) 3150 კვ. თვითმფრინავის ოთხი ძრავითი აღჭურვა ზრდის მისი ფრენის უსაფრთხოებას.

საწვავის აგები მოთავსებულია ფრთაში. ისინი წარმოადგენენ რკინის პარკებს, სადა დიდი საწვავი პარკის წნეით ძრავებს მიეწვება. აუცილებლობის შემთხვევაში საწვავის გამოშვება შეიძლება ავარიული ჩამოსხმის სატყველიდან.




ამ თვითმფრინავის ერთ-ერთი ღირსებაა ის, რომ აღერენისა და დაწვლისათვის საჭიროა 1000 მ სიგრძის ზოლი.

თვითმფრინავის უახლესი რადიოსანავიციო მანქანებშია რადიოლოკატორის ჩათვლით უზრუნველყოფის ფრენის უსაფრთხოება.

„15/11“-ის საფრენი ტექნიკური მახასიათებელია: სიგრძე — 31,42 მ, სიმაღლე — 9 მ, ფრთების გაშალა — 27 მ, ფრთების წყდარი 139 კვ. მ, ძრავების სიმძლავრე (წევა) $2150 \times 4 = 12600$ კვ. ფრენის სიმაღლე — 10,4-11,6 კმ. სიჩქარეები: მაქსიმალური — 920 კმ საათში, კრეისერული — 800 კმ საათში, დაწვლის სიჩქარე — 200 კმ საათში.

სამშენებლო სამუშაო

მშენებელი კომპანია აშშ-მ შენებულა მოვარა თანამშენებელი. მაგრამ მას აქვს ნაკლები ნაშენები. იგი შედარებით ნელი და ვეებერთულია. ზოგჯერ საჭიროა, რომ სწრაფად აიყვანოს აღმართები ან ატაროს მცირე წონის ტვივით. კომპანია აშშ-მ რომ მოე-



წყვეტოს მის მოვარ სამუშაოს მცირე ტვივითათვის, ეს მიზანშეწონილი არაა, ხოლო მისი საშუალებით აღმართების აყვანა დაუშვებელია.

ობიექტივის ოპტიკა გამკვირვალებულია. „ზენიტის“ ჩარჩოში ობიექტივს აქვს რგოლი დიაფრაგმის წინაწარ დაყენებისათვის. სტარტის ჩარჩოში კი ობიექტივი აღკურვლილია „მხტუნავი“ დიაფრაგმით. ფოტოაპარატ „ზენიტისათვის“ ობიექტივი იდგმება ბუდეში.

ფოტოობიექტივის ტექნიკური მახასიათებლებია: ფოკუსური მანძილი — 5,8, ფარდობითი ხერცები — 1:2-1:22, დაფოკუსირების ზღვრები — 0,6 მ უსასრულომდე, მხედველობის კუთხე — 40°, ჩარჩოს დიამეტრი — 58 მმ, წონა — 0,25 კგ.

ველკანური მინები

ქალაქი კალანდარიშვილი

ინჟინერ-გეოლოგი ლ. კალანდარიშვილი

ველკანური მინები ეწოდება ქანებს, რომლებიც წარმოქმნიან დედამიწის ზედაპირზე ან წყალქვეშ მუქ-ველურ ლავის ამონახევისა და სწრაფი გაცივების შედეგად. ველკანური მინებს ეკუთვნის: ობსიდიანი, პერლიტი, პეშა, პეხშტაინი და სხვ.

ობსიდიანი (ნახ. 1) ერთგვაროვანი, მინისებრი კრიალა ქანია, ახასიათებს მკრეოლი, ნიჟარისებრი მონატეხი; ჩვეულებრივ მუქი ფერისაა (შავი, მოწითალო-შავი, ნაც-რისფერი); მისი თხელი მონატეხი გამჭვირვალეა.

ობსიდიანი ძირითადად სილიციუმისა და თიხამიწის საგან შედგება. მისი ნიმუში ლიპარის კუნძულების ვულკანებიდან აღწერა რომაელმა ნატურალისტმა ობსიდოლმა, ამიტომ მის პატივსაცემად შვედ ვულკანური მინას ობსიდიანი უწოდეს.

პერლიტი (ნახ. 2), გერმანულად Perle, მარგალიტის ნიშნავს. მისთვის დამახასიათებელია მკაფიოდ გამოხატული პერლიტური — წვრილი კონცენტრულ-ნაჭურჭ-სებრი აღნაგობა. გამოფიტვის შედეგად პერლიტები იშ-ლება წვრილ, საღვინებრივ მოვლადე მარგალიტისმაგ-ვარ ნაწილებად, საიდანაც წარმოდგება მისი სახელწო-დებაც. პერლიტი ნაცრისფერია ან მოყვითალო ნაცრის-ფერი, ხშირად ცისფერიც გადაკრავს. პერლიტის ქიმიუ-რი შეცვცელობაც თითქმის ისეთივეა, როგორიც ობსი-დიანისა.

პეშაზე ველკანური მინებს ეკუთვნის. იგი ფორიანი მსუბუქი ქანია, რომლისთვისაც დამახასიათებელია ქა-ფისმაგვარი (Pumex ლათინურად ქაფია) აღნაგობა; ჩვეულებრივ თეთრი ან ნაცრისფერია, მონატეხზე მჭრქა-ლი ან აბრეშუმის ელვარება აქვს.

პეხშტაინი ორი გერმანული სიტყვისაგან შედგება: Pech—ფისი და Stein—ქვა. იგი მინისებრი ველკანური ქანია ცხიმოვანი ელვარებით და წარმოქმნილია ვულკა-ნის წყალქვეშა ამოფრქვევის შედეგად; აქვს შავი, მურა, წითელი, მომწვანო და ზოგჯერ ყვითელი ფერი, ხშირად დანაწარლებულია და აქვს ბრეჩჩიისმაგვარი აღნაგობა. ქიმიურად პეხშტაინი პერლიტისა და ობსიდიანის ანა-ლოგიურია, მხოლოდ მისგან განსხვავდება სილიციუმის უფრო ნაკლები და წყლის მეტი შემცველობით.

ობსიდიანს ადამიანი უხსოვარი დროიდან იცნობს. ქვისა და ბრინჯაოს ხანაში კავკასიის, უნგრეთის, იტალი-ის, მექსიკისა და სხვა ქვეყნების ძველი ტომები ობსი-დიანს ფართოდ იყენებდნენ სხვადასხვა მჭრელი იარა-ღის დასამზადებლად. კავკასიაში ნეოლითის ხანაში ფარ-თოდ იყო ცნობილი ობსიდიანისაგან დამზადებული იარა-ღები: შუბისა და ისრის წვეტები, საფხეკები, დანები.

სომხეთში სოფელ არზნისთან ნაპოვნია ობსიდიანისაგან დამზადებული ხელის სატეხი. შავი ზღვის ჩრდილოეთ და დნებრის მარცხენა სანაპიროზე ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანაში ობსიდიანით ვაჭრობასაც ჰქონია ადგილი.


მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებთან დაკავშირებით ბოლო ხანებში დადგენილ იქნა მრავალ სახის ზელოვნური საშენი მასალის მიღების ტექნოლო-გია სხვადასხვა ნედლეულისაგან. ასეთი მასალებიდან ამ-ჯამად დიდ ინტერესს იწვევს ზელოვნური, აფუებული პერლიტი, რომელიც მიიღება ველკანური მინების გარ-კვეთულ ტემპერატურაზე გახურებით. მისი გამოყენების სფერო მრავალმხრივია და ამიტომაც მის ნედლეულს დიდი სამრეწველო მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენში თან-დათან ფართოვდება სამუშაოები სხვადასხვა ველკანური მინიდან აფუებული პერლიტის მისაღებად.

აფუებული პერლიტი გამოიყენება ბეტონის, კედ-ლის შესაღესი ხსნარების, საღებავებისა და პლასტმასის შემცველად. ის წარმოადგენს მნიშვნელოვან ნედლეულს ცეცხლგამძლე და თბოსაზოლაციო ცემენტის, კაფელე-ბისა და შენობათა სახურავებისათვის; გამოიყენება ავ-რეთვე, როგორც ფილტრი, კვების სხვადასხვა პროდუქ-ტების გასუფთავებისას, შესაფუთ მასალად და სხვ.

დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში საგრ-ძნობლად გაიზარდა მსუბუქი ბეტონის გამოყენება, რომელშიც შემესგებოს როგორც აფუებული პერლიტი ასრუ-ლებს. ასეთი ბეტონები ძირითადად გამოიყენება კედ-ლებისა და სახურავებისათვის.



ნახ. 1



ნახ. 2

ამერიკის ზოგიერთ შტატში (კოლორადო, ახალი მექსიკა, ნევადა, კალიფორნია, არიზონა და სხვ.) მიმდინარეობს ამ ნედლეულის გაცხოველებული ექსპლოატაცია.

აფუებული პერლიტის მსუბუქი ბეტონებისა და შესაღები სხნარების გამოყენებით აგებული ისეთი დიდი შენობები, როგორიცაა პატისტურგში ფოლადის კომპანისა და ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების შენობა.

ცდებით დამტკიცებულია, რომ აფუებული პერლიტისაგან დამზადებული ნაკეთობა 3-ჯერ უფრო გამძლეა, ვიდრე წიდა-ბეტონისაგან დამზადებული, და 2-ჯერ მსუბუქი, ვიდრე აგური, ხოლო აფუებული პერლიტისა და თაბაშირისაგან ლესილი 3-ჯერ უფრო მსუბუქია, ვიდრე ჩვეულებრივი ქვიშიანი და 6-ჯერ მეტი იზოლაციისა და ცეცხლგამძლეობის უნარი აქვს.

გამძლე და ლამაზი თბოსაიზოლაციო ნაკეთობა მიიღება აფუებული პერლიტისაგან კერამიკულ მასასთან ერთად.

აფუებული პერლიტისაგან შეიძლება დამზადდეს ისეთი ბეტონი, რომლის მოცულობითი წონა ჩვეულებრივთან შედარებით 7-ჯერ შემცირდება, ხოლო იზოლაციის უნარი 20-ჯერ გაიზარდება.

აფუებული პერლიტი გამოიყენება ლითონების ჩამოსხმის საქმეში, ძალზე წვრილად დაფუებული აფუებული პერლიტი კი — ფილტრად საღებავების წარმოებაში.

ინგლისში დიდი გამოყენება აქვს აფუებული პერლიტისა და კერამიკული შემცვერისაგან დამზადებულ თბოსაიზოლაციო მასალას, რომელსაც აფურისა და ფილის ფორმა აქვს. ამერიკაში პერლიტს ძირითადად იყენებენ თაბაშირისა და ბეტონის ქვიშის შემცველად, რაც ადვირება მის წონას, აღიდეგს იზოლაციისა და ცეცხლგამძლეობის უნარს. 1955 წელს აშშ-ში დამზადებული 200 ათასი ტონა აფუებული პერლიტი ძირითა-

დად გამოყენებულ იქნა ბეგრისა და თბოსაიზოლაციო შესაღების სხნარებისათვის.


ვულკანური მინებიდან აფუებული პერლიტის მიღების ტექნოლოგიური პროცესი დაფუძნებულია მთელ რიგ ფაქტორებზე. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მინისებრი ვულკანური ქანების აფუება გამოწვეულია აქროლადი კომპონენტების (უმთავრესად წყლის) გამოყოფით გარკვეულ ტემპერატურაზე, რომელიც ახლოა ქანის გარბილვის ტემპერატურასთან.

წყლის შემცველობა ვულკანურ მინებში სხვადასხვაა: ობსიდიანებში — 0,5-1%, პეშტაინებში — 5% და პერლიტებში — 6-8%.

დიდი ოდენობის წყლის შემცველი ქანები წინასწარ თერმულ დამუშავებას მოითხოვს, ვინაიდან ზედმეტი წყალი იწვევს ბზარების წარმოქმნას და აფუებული მასალის მოცულობითი წონის ზრდას. ქანის მაქსიმალური აფუებისათვის საჭირო წყლის რაოდენობა ისახლება ექსპერიმენტულად და ზედმეტი წყალი სცილდება წინასწარი თერმული დამუშავებით 400-დან 600° ტემპერატურაზე.

პქროლდების გამოყოფა, რომელიც იწვევს ქანის აფუებას, ხდება ქანის გარბილების მომენტში. ქანის ნორმალურად აფუების შედეგად მივიღებთ დაზარული ფორების ისეთ რაოდენობას, რაც ქანს უშცირებს კუთრ წონას (0,6-0,8) ანიჭებს.

აფუებული პერლიტის მიღების ქარხნული პროცესი მარტივია: განსაზღვრულ ზომამდე დამსხვრეული მასალა ჩაიტვირთება მბრუნავ ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ ლემელებში, ხოლო ლემელის ბოლოს განიტვირთება აფუებული მასალა. ნედლეულის დამსხვრევა და სიმსხოს მიხედვით კლასიფიკაცია ხდება მისი მოპოვების, ხოლო აფუება — მოხმარების ადგილზე. საბჭოთა კავშირში დიდი სამუშაოები მიმდინარეობს აფუებუ-



ნახ. 3. მარცხნივ — ობსიდიანის ნატები ბუნებრივ მდგომარეობაში, მარჯვნივ — იგივე ნატები აფუების შემდეგ

ლი პერლიტის მისაღებად და წარმოებაში მის დასაწერ-
გად. ამ საკითხის გადასაწყვეტად მრავალი კვლევითი
ინსტიტუტი და ლაბორატორია მუშაობს.

პერლიტისა და ოსიდიანების გამოყენების პრობ-
ლემის გადაწყვეტაზე 1955 წელს მუშაობა დაიწყო ინს-
ტიტუტ „თბოპროექტმა“ (მოსკოვი). ჩატარებულმა ლა-
ბორატორიულმა და ნახევრად ქარხნულმა გამოცდამ
დაადგინა მსუბუქი შემცვერის მიღების შესაძლებლობა
თბოსაზოლაციო და ცეცხლდამცავი ბეტონებისათვის.

პერლიტისა და ოსიდიანის საბადოები საბჭოთა
კავშირში ცნობილია შორეულ აღმოსავლეთში, ტაჯი-
კეთში, კავკასიისა და სხვაგან.

1956 წელს დაწყებულმა გეოლოგიურმა სამუშაო-
ებმა კარგი შედეგი გამოიღო. მოკლე ხანში გახსნილ იქ-
ნა ოსიდიანისა და პერლიტის მრავალი საბადო.

სომხეთში სისიანის, ახტის, ტელისა და სხვა რაიონ-
ებში გამოვლინებულ იქნა საბადოები, რომლებიც იქ-
ლევა უმაღლესი ხარისხის მსუბუქ შემცვერს აფუების
მაღალი კოეფიციენტით.


აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მდ. ტერტერის აუზ-
ში, კურორტ ისტი-სულ რაიონში, გამოვლინებულ იქნა
პერლიტისა და ოსიდიანის უდიდესი საბადო.

საქართველოში ოსიდიანისა და პერლიტის საბადო,
დღემდე ცნობილი არ იყო. 1957 წელს მინერალური
ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტში ვულკანური მიწე-
ბის ტექნოლოგიური თვისებების შესწავლასთან დაკავ-
შირებით სტატიის ავტორის მიერ ბოგდანოვსკის, ახალ-
ციხისა და ასპინძის რაიონებში ჩატარებულ იქნა წინას-
წარი გეოლოგიური სამუშაო, რის შედეგად ტბა ფარავ-
ნის რაიონში გამოყოფილ იქნა პერსპექტიული უბნები
სამთი სამუშაოების ჩასატარებლად, ოსიდიანისა და
მასთან დაკავშირებული პერლიტის ძირითადი გამოსავ-
ლების გამოსავლიანობიდან და მათი წოლის ფორმების
დასადგენად.

ბოგდანოვსკის რაიონში, ტბა ფარავანთან ახლოს,
მთა კოიუნდაგის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-
აღმოსავლეთ ფერდობზე, აღებულ იქნა ნაცრისფერი,
შავი და მოწითალო-შავი ოსიდიანის სინკები, რომლე-
ბიც ამ ადგილებში დიდი რაოდენობით გვხვდება ნაყა-
რის სახით. აღნიშნული ოსიდიანები ქიმიური შემცვე-
ლობით ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავდება და სხვა-
დასხვა ლავის ნაყადის პროდუქტებს წარმოადგენს.

ტექნოლოგიური სინკები აღებულ იქნა აგრეთვე ას-
პინძის რაიონში, სოფელ ტოლოშთან, და ახალციხის
რაიონში, სოფელ შურდოსთან ახლო მდებარე პეშტა-
ნის კარიერიდან.

აღებულ სინკებზე ჩატარებულმა ტექნოლოგიურმა
გამოკვლევებმა დაამტკიცა, რომ ტბა ფარავნის ოსიდი-



ნახ. 4. აფუებული ღორღი

ანები აფუებაზე კარგ შედეგს იძლევა; ნაცრისფერ ობ-
სიდიანში წყლის შემცველობა უდრის 0,35-0,50%-ს,
ფუფდება 900-1000°-ზე, აფუებული მასალის 1 კუბური
მ იწონის 250-350 კგ-ს და სასიათდება აფუების მაღალი
კოეფიციენტით; შავი (წყლის შემცველობა 0,14-0,20%)
და მურა ფერის (წყლის შემცველობა 1-1,5%) ოსიდი-
ანები ფუფდება უფრო მაღალ ტემპერატურაზე — 1100-
1200°-ზე.

დადგენილ იქნა აგრეთვე, რომ პეშტაინები მოით-
ხოვს წინასწარ თერმულ დამუშავებას 400-500°-ზე. სო-
ფელ ტოლოშის პეშტაინი (წყლის შემცველობა 3,40-
4,0%) ფუფდება 1150-1180°, ხოლო სოფელ შურდოს
პეშტაინი (წყლის შემცველობა 5,8%)—1125-1175°-ზე.

1959 წელს საქართველოს გეოლოგიური სამმართვე-
ლოს მიერ ზემოაღნიშნულ რაიონებში ჩატარებულ იქნა
ძებნა-ჩივებითი სამუშაოები, რასაც შედეგად მოჰყვა ობ-
სიდიანისა და პერლიტის საბადოს გამოვლინება ტბა-
რავნის რაიონში, მთა კოიუნდაგის ტერიტორიაზე.

საქპროდუქტგეოპროექტის მიერ სპეციალურ სა-
ბუშაობთან დაკავშირებით აქ გაყვანილ იქნა 60 მ-იანი
ბურღილი, რომელიც მთლიანად ოსიდიანებსა და პერ-
ლიტებში გადის. 20 მ სიღრმემდე, 3 კვ. კმ ფართობზე,
გამოთვლილი ვიზუალური მარაგი 60 მლნ კუბურ მ-ს
შეადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ იმედი უნდა
ეიჭონით, რომ დეტალური გეოლოგიური ძიების ჩატა-
რებით დადგენილი იქნება ოსიდიანისა და პერლიტის
დიდი მარაგი და უახლოეს ხაზში ჩვენს რესპუბლიკას
ექნება საკმაოდ ძლიერი ბაზა მეტად ძვირფასი მსუბუქი
საშენი მასალის საწარმოებლად.



პატარა ატომური რაკეტორი


აშშ-ში ატომური ენერგიის კომისიამ გააკეთა განცხადება, რომ დამუშავებულია პატარა ატომური ელექტროსადგურის პროექტი. მისი ზომებია: სიმაღლე — 5,5 ფუთი, დიამეტრი — 4,5 ფუთი. მოდელს არა აქვს მოძრავი ნაწილები და იწონის სულ რაღაც 5 გირავანქს. საწვავის სახით გამოყენებულია პოლინიუმის იზოტოპები. ატომური გენერატორის სიმძლავრეა 5 ვატი. გამოთვლილია, რომ მასობრივი წარმოებისას თითოეული ატომური გენერატორის ღირებულება 200 დოლარი იქნება. ვარაუდობენ, რომ ასეთ გენერატორს ელექტრული ენერგიის მოცულობა შეუძლია ას წელზე მეტი წლის განმავლობაში.

ბირთვული რაკეტული ძრავა

უკანასკნელი წლების მეცნიერულ-ფანტასტიკური რამზნებისა და მოთხრობების გვირგვინზე სწრაფად კოსმოსში მიწისწაფვან ისეთი რაკეტებით, რომლებიც აღჭურვილია ბირთვული ძრავებით. საქმე ისაა, რომ ატომური საწვავი, როგორც გამოთვლები უჩვენებს, საშუალებას იძლევა შევქმნათ რაკეტები მეტად მაღალი მახასიათებლებით, ვიდრე ჩვეულებრივი ქიმიური საწვავით მომუშავე რაკეტები.

მაგრამ ბირთვული რაკეტული ძრავას შექმნისათვის საჭიროა მრავალი სინდისის გადალახვა. აქა კოსმოსქვეითი თავისებურებებია, მეტად მზურგალმდებარე მასალების აუცილებლობა, რადიაციის პრობლემა და სხვ.

ამ პრობლემების გადასაწყვეტად აშშ-ში აგებულია და იცდება ექსპერიმენტული ბირ-



თვული რაკეტული ძრავა იქცევა. იგი განკუთვნილია სამშენებლო გამოკვლევებისათვის („კივი“ მეტად ვეგერეთულია და მძიმე საფრენი გამოცდებისათვის) რაკეტაში დასადგმ-

ლად მოსახერხებელი ატომური ძრავას აგების შესაძლებლობის გამოკვლევის მიზნით. ცდების ჩასატარებლად „კივი“ დადგენილია სპეციალურ რკინაბეტონის პლატფორმაზე, რომელიც გადაადგილდება რელსებზე მაშინვე მართვადი ელმანქანით.

მუშა სტეულის სახით (ე. ი. ნივთიერება, რომელიც უნდა გამოიტყოსწონოს რაკეტული ძრავადან, რათა მიეცეს მას მოძრაობა სპიონისპირა მხარეს) გამოყენებული იქნება აირისებრი ძელოში და შემდეგ წყალბადი.

ბურთულსაქისარმბი კლასტმისარმბი

ფირმა „იერკარფტ არმანენტ“ შეუდგა პლასტმასის ბურთულსაქისარმბების დამზადებას, რომლებიც არსებული ტიპებისაგან იმით განსხვავდება, რომ მათში გამოყენებული ბურთულები გაკეთებულია პლასტმასისაგან. ეს ბურთულები ერთი და იმავე საქისარმბისათვის მზადდება ორი სხვადასხვა დიამეტრით. ზომებს შორის განსხვავებაა 0,3 მმ. დიდ ბურთულებზე მოდის ძირითადი დეტირთვა; დიდი გადატვირთვის შემთხვევაში ისინი რამდენადმე იყუმებენ და დატვირთვა ნაწილობრივ გადაეცემა მცირე დიამეტრის ბურთულებს. ბურთულები მზადდება წნედიანი სხსული ფისისაგან უცნაურად ხეხის გზით, ხოლო უფრო მძიმე რემებისათვის — იმავე ფისისაგან მათი დიამეტრებით.

საქისარმბის კორპუსი დამზადებულია ფინილ-მოდოლში მასალისაგან.

ხანგრძლივი გამოცდის შედეგებით საქისარმბზე არ იყო ცვეთის ან ჩათღების კვალი. პლასტმასის საქისარმბის წონა 22%-ით ნაკლებია ლითონისათვის შედარებით, ხოლო ღირებულება 33%-ით მცირე.


მგრუნავი პარაშუტი

ველოსპედის თვალს დაბრუნებთ ისე, რომ მანვინი ერთმანეთში შეიკრუნეს მთლიანი გაშვებისაგან რგოლის მსგავსად. იგი „მთლიანია“. იქნება არა მარტო თვალისათვის, არამედ ბევრი ნათიერებისათვისაც. მაგალითად, მისი იქით ვერ გაიხირო ჩხარს, ხოლო საშუაო სიჩქარით ბრუნვისას — კენსას ცი.

ამაზე იყო დაფუძნებული ოცდაათიანი წლებში გავრცელებული ავტორიტები — თვითმხრეებია, რომლებსაც ჩვეულებრივი ფრთის ნაცვლად ხრახნი ჰქონდა. ეს ხრახნი თავისუფლად ბრუნავდა ვერტიკალური ღერძის ირგვლივ შემხვედრი პარის ნაკადის მეშვეობით. მზიდ ფედაპირს წარმოადგენდა არა ხრახნის ფრთები, არამედ მთელი დისკი, რომელსაც ისინი შემოწერდნენ ბრუნვისას.

ავტორიტებმა ადვილი დაუთმო უფრო გამომჩინებულ შეუღმფრენებს, ხოლო მ-

თი პრინციპი ამჟამად საუფუძლად დიდო ახალი ტიპის პარაშუტს. მასზე მთლიანი გუმბარი შეცვლილია ოთხი მკვეთრად რომლებიც ქმნის ვიგანტო საშუაო



ხრახნს. გაშვებისას იგი სწრაფად ბრუნავს და მოქმედებს როგორც ჩვეულებრივი პარაშუტი. ასეთ მარაზზე პარაშუტს რიგი უპირატესობა გააჩნია. იგი იხსნება თანდათანობით, ამიტომ ბიძგები პარაშუტის სიწლისა შედარებით სუსტია. დამვების სიჩქარე ისეთივეა, როგორიც ჩვეულებრივი პარაშუტისა.

კიოლს სიმსინის „გაყენება“

ავთვისებიანი სიმსინეები ერთ-ერთ პირველ ადგილზე დგას იმ დაავადებაში შორის, რომლებსაც მიაქვთ ბევრი ადამიანის სიცოცხლე. მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლაში მეცნიერებამ არ მოიპოვა რიგი წარმატება. რამდენიმე წლის წინათ წარმოიშვა კიოლს წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ტექნიკა — ჰაიპოთერმია, რომელშიც ფარკო გაგრცელებულია. მასში საქმე ეხებოდა გაცივებას 15-20-ზე. ამჟამად კი სიმსინის წინააღმდეგ მიღებულია გაცივებით — 15-20-ზე.

გოლომა ავთვისებიანი სიმსინეა, რომელიც აზიანებს თავის, ხოლო ზოგჯერ ზურგის ტანის. ესაა თავის ტვინის ენდოვალ გარკველებით სიმსინე; მას სხივად სიკვდილი ან მძიმე შედეგები მოუყვება.

რენტგენის სხივები, რომლებიც სწორად კურნავს კიოლს ადრეულ სტადიის, უძლურია გოლომის წინააღმდეგ, ქირურგიული ჩარევა მეტად რთულია, ხოლო ოპერაციის შემდეგ სწორია რეცედიები.

ინგლისელმა ქირურგმა დოქტორმა როუბოტემმა გადაწყვიტა სიმსინის დიდი გრძნობიერების გამოყენება სიცოცხლისმი.

მას უმედი ავადმყოფის სისხლენიშნე შექმნას კანული (შპრაციის თაი, რომელსაც ნენსი წარმოადგენს) და მასში ატარება სუთოა ღვინის სპირტს, რომელიც უწყვეტად გაიცემა იგი მინუს 110°-ზე, ე. ი. თიკ-მის სპირტის გაყინვის ტემპებზე. სიცივის ზეგომელებით სისხლენი უკრძალავს კვლავიდან, ხოლო ქანსათელ უკრძალავს, რომლებიც განიცდიდნენ სწრაფ გაყინვას და შედეგად გაღიზიანება, სიცოცხლე უბრუნდება.

ამ ხერხის უპირატესობა წმინდა ქირურგიულთან შედარებით აშკარაა, აქ ქირურგიული ჩარევა გამოიხატება კანულის მოთავსებით სისხლენში.

რა თქმა უნდა, რამდენიმე უმედი ავადმყოფზე ოპერაციის ჩატარებით არ შეიძლება დასკვნების გაკეთება და მისი ყოველდღიურ პრაქტიკაში დაწერვა, მაგრამ, დოქტორ როზენბერგის მტკიცებით, ცდების შედეგები იმდენს მოჰყვება.

5 კვ წონის ატომური ელექტროსადგური

აზრი ბოთლბუდე ენერგიის გარდაქმნის ელექტრულად ატომური ელექტროსადგურების ევროპული მოწყობილობაა — თბოგამაღლებების, ქვაბების, ტურბინების, გენერატორების — აცვლებით მეტად მთავრდება. ამ პრობლემაზე მუშაობენ ბევრი ქვეყნის სწავლულები, ცნობილი საკმაოდ ბევრი წინადადებები, პროექტები და მოადგენები (კერძოდ, ნახევარგამტარნიც). მაგრამ ასეთი სამის ევლოა დაწვადარი არაპრაქტიკული გამოდგება: შაბი შავი ქვების კოეფიციენტი დაბალია, ნახევარგამტარების კრისტალური გისოს ბედა-გამოსხივების ზემოქმედებით ირდება და ბატარეები მწყრობიდან გამოდის.

ამას წინათ აშშ-ში გამოაცხადეს ახალი, უფრო ეფექტური ნახევარგამტარნიშ მოწყობილობის შექმნის შესახებ (ი. ნანს). სტრონციუმის რადიოაქტიური ობიექტზე ბოლოებით მიგრირილი ელემენტარული (Z) და ზერეტილი (I) ნახევარგამტარებისაგან დაწვადებული დერბი. ყოველი ელემენტი

ლო) აქვს ოთახის ტემპერატურა, ხოლო შიგა ბოლოები გახურებულია რადიოაქტიური სტრონციუმის სახეობის გამო. ამიგობი ბატარეაში წარმოიშობა თერმოელექტრობა.

ამ პრინციპის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს „ჯიბის ელექტროსადგური“ სსიპ-მ. იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ მას აშშ-ში, მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი საზოგადოებრიობას პრესის საშუალებით გააცნო პირადად პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა. მართლაც, ამ ხელოვნება-მან დაწვადარს, რომელიც შეიძლება დახურო ჩვეულებრივი ქუდი, შეუძლია მისცეს იმდენი ელექტროენერგია, რამდენიც ყველაზე სრულყოფილმა 700 კვ წონის ატომულატორმა. აქ სტრონციუმ-90-ის ნაცვლად გამოყენებულია ბლუტონიუმი-210, რომლის რადიოაქტიურობაც 300-ჯერ აღემატება რადიუმის რადიოაქტიურობას და მისი ნახევარდაშლის პერიოდი უდრის 138,5 დღეს. ბატარეას მარტივ ქმედების კოეფიციენტი აღწევს 10%-ს.

მიიღებს თუ არა „ჯიბის ელექტროსადგური“ ფართო გავრცელებას?

დადებითი პასუხისათვის არ უნდა ავტარდეს, სანამ არ გვეცოდინება მისი ღირებულება. ჩვენ არ ვიცით იგი უფროდ, მაგრამ ცნობილია, რომ იგი ათეულ მლნ დოლარადაა ფინანსდარგებული. თუმცა ებს სხვა, უფრო ნაკლები სიმძლავრის ატომური ბატარეისა, რომელიც იწონის 2,2 კგ-ს, მთითებულია ზუსტად — იგი დარბა 30 მლნ დოლარი ასე რომ, თუ ელემენტარული რეზიდასა, ყველას ჯიბე ვერ გაეძღვს მის ყიდვას და ახლო მომავლში ფართო მოხმარების საწინაო ვერ გახდება. ფაქტორად ეს ბატარეები მძლავრი დაწვადარის სახით ჭერჭერობით გამოყენებას პოვებს ხელოვნურ თანამშავრებზე, რაკეტებზე და კოსმოსის გამოსაკვლევი სხვა ჭურვებზე, რადგან ამ შემთხვევაში წონას და მოცულობაში მოგება შეიძლება ანაზღაურებულ იქნეს ნებისმიერი ფასით.


ასეა თუ ისე, ახალი ატომური ბატარეა დიდი ენერგიის მიწვევაა.

არაჩვეულებრივი ტრაქტორი

ამერკული ტრაქტორსაშენებელმა კომპანიამ „ალის-ჩალმერს“ დააგეგმარა ახალი ტიპის ტრაქტორი. მასში არ არის ჩვეულებრივი ძრავა. ტრაქტორი მუშაობს ელექტრობით, რომელიც მიიღება არა გარედან, არამედ თავისი „ნაფერადიან“.

პირველ ექსპერიმენტულ ტრაქტორში, რომლის ერთი ეგზემპლარია დაწვადებული, ბენზინით მომუშავე ძრავას ნაცვლად დაყენებულია 1008 ელემენტარული შენადარი აირელექტროგენერატორი. ეს, ეგრეთწოდებული აირის ანუ საწვავი ელემენტები, შედგება ლითონისა და განსაკუთრებული ფორიანი ფინებისაგან, რომლებიც დამონტა-

ჟებულია 112 პაკეტისაგან შედგებილი ბატარეაში. ლითონის ფინები უშუალოდ მონაწილეობს ელექტროგენერაციის მიღებაში არამაშობს. ქიმიური რეაქციის ენერგია, რომელიც



შელიც დენს იძლევა, ელემენტებში ძირითადად გამოუმუშავდება მიწრდებული აირების ნარევიდან, უპირატესად პროპანისა და ფანგადისაგან, კატალიზატორისა და ელექტროლის მონაწილეობით.

აირელექტროგენერატორი იძლევა 15 კილოვატ დენს და კვებას 20 კვ. სიმძლავრის ჩვეულებრივი ტიპის ელექტროძრავას. ექსპერიმენტული ტრაქტორის კონსტრუქციული წონაა 2880 კგ, მისი წვეთი ძალაა 1840 კვ. მოძრაობის სიჩქარე — 16 კმ საათში.

ოპერატორს ახალი ტრაქტორის მუშაობის ჩვეულებას 17 წუთის განმავლობაში დაიხარჯა დაახლოებით 900 გ პროპანი, არც ამერკული ღირებულებით 1,25 ლ ბენზინის ეცევადენტირება.

საწვად ელემენტებში გამოყენებული ფანგადი, როგორც იუწყებიან, შეიძლება მიღებულ იქნეს ან უშუალოდ პაერიდან ან სპეციალური რეგერეგატორიდან.

აირელექტროგენერატორის მარტივ ქმედების კოეფიციენტი 60%-ის ტოლია, მაშინ როცა ტრაქტორის საუკეთესო ძრავას 2, 3, 40%-ს არ აღემატება. მაგრამ კომპანია მიზანშეწონილად თვლის ახალი ტიპის ტრაქტორი გამოუმუშავს იმ შემთხვევაში, თუ მისი 2, 3, 40% აღემატება 80%-მდე.

ახალ ტრაქტორებს, როგორც ვარაუდობენ, თავისი კონსტრუქციის გამო ასევე საკმაოდ დიდი სამსახურის ნაწარმობა ექნება არსებულ ტრაქტორებთან შედარებით. კომპანია „ალის-ჩალმერსის“ მუშაობა მხოლოდ ნაწილია საწვავი ელემენტების დარგში იმ მრავალრიცხოვანი კვლევის, რომლებიც აშშ-სა და ინგლისში წარმოებს.



ნული ნახევარგამტარი მუშაობდ ბერეტილით ერთად ქმნის თერმოწყველს. წვეთებით შევსებული მიმდებარებით ლითონის მაკოვლებით. დერბის გარე ბოლოებს (ნარჩი-



დება ულტრაიისფერი სხივების სახით.

ცილების ლუმინესცენციის ინტენსიურობა დამოკიდებულია არა მარტო პირველადი მოსხივების ინტენსიურობაზე, არამედ ხსნარში ცილის კონცენტრაციაზეც და აგრეთვე მისი სტრუქტურის თავისებურებაზე.

ფლორასტენციური პროტეინები

ულტრაიისფერი სხივებით მოსხივების შემდეგ ცილების ლუმინესცენციურობის უნარიანობის აღმოჩენამ მკვლევარებს ცილების რაოდენობრივი განსაზღვრის სრულიად არაჩვეულებრივი, სწრაფი და მოხერხებული საშუალება მისცა. ეს ახალი სპექტრული მეთოდი თავისი გრძნობიერებით და, რაც მთავარია, სიჩქარით მწიფელოვანად აღემატება ყველა ადრე გამოყენებულს. იგი საშუალებას გვაძლევს ზუსტად და ყოველგვარი ქიმიური რეაქტივების ხარჯის გარეშე განვსაზღვროთ ცილის შემცველობა ხსნარებში, სისხლში, ლიმფაში, შარდში, ზურგის ტვინის სითხეში და რძეში; შევადაროთ ცილის არსებობა ისეთ პროტეინებში, როგორიცაა ხორცი და მატყლი. ყველაფერ ამას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ბელგიაში მოსახლეობა რძიდან ლებულობს 21 პროცენტზე მეტ საკვებ ცილას. აქამდე რძეში ცილის პროცენტულ შემცველობას განსაზღვრავდნენ მეტად შრომატევადი ქიმიური მეთოდით, რაც აწელებდა სელექციურ მუშაობას ცხოველების შერჩევისას, რომლებიც, იძლეოდნენ რძეს ცილის დიდი შემცველობით. უკანასკნელ წლებში ამას მოჰყვა რძეში ცილის შემცველობის ინტეგრირი საერთო დაქვეითება კი. ინგლისში კი, მაგალითად, ამის გამო ყოველწლიურად იკარგება 14 ათასი ტონა რძის ცილა, ე. ი. მაღალხარისხიანი ყველის დახლოებით ორი სარკინიგზო მემადგენლობა.



ს. კონევი

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

მნიშვნელოვანი აღმოჩენა

რამდენიმე წლის წინათ საბჭოთა და ამერიკელმა ბიოფიზიკოსებმა ერთდროულად გააკეთეს საინტერესო აღმოჩენა. დადგინდა იქნა, რომ ცილებს, რომლებიც შედის ცოცხალ უჯრედებსა და ბიოლოგიურ სითხეებში — რძეში, ზურგის ტვინის სითხეში და სისხლის პლაზმაში — აქვს ნათების უნარი, ლუმინესცენციურობა. ცილების ნათება უბრალო თვალთა შეუმჩნეველია და აღინიშნება მხოლოდ სპეციალური ხელსაწყოების საშუალებით. მაგრამ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ეს ნამდვილი ლუმინესცენციაა.

ცილები ლუმინესცენციურობას იწყებს მხოლოდ უჩინარი ულტრაიისფერი სინათლით მოსხივების დროს. მოსხივების შემდეგ წამის რაღაც ნაწილში ისინი თვითონვე უშვებენ ულტრაიისფერ სხივებს, ე. ი. ცილები არა მარტო შთანთქმის სხივურ ენერგიას, არამედ გამოჰყოფს მას შემდეგ სინათლის სახით, მაგრამ, როგორც ვასაგებია უბრალო ფიზიკის კანონებიდან, უკვე სინათლეს სხვა (უფრო გრძელი) სიგრძის ტალღით. ეს უხილავი სინათლე, რომელსაც ცილები გამოასხივებს, სა-

შუალებას გვაძლევს ახლებურად ავსენათ ბევრი რამ მათ ბუნებაში. მაგრამ მოვითხოვთ ყველაფერს თანმიმდევრულად.

რატომ ანათებენ ისინი?

ცილა, როგორც ცნობილია, მეტად რთული წარმონაქმნია. მისი მოლეკულა ათასჯერ უფრო დიდია, ვიდრე, მაგალითად, ქანკაბადის, წყალბადის, ნახშირბადის ან აზოტის მოლეკულა. იგი ყველა ამ ელემენტის ატომების განსაკუთრებულ კომპლექსს წარმოადგენს (აზოტის აუცილებელი მონაწილეობით), რომლებიც შეერთებულია სტრუქტურულ ჯგუფებში — ამინომჟავებში. ამინომჟავები — ცილის საფუძველია. როგორც ცემენტით შეკავშირებული აგურები, ამინომჟავებიც ცილაში ერთმანეთთან შეერთებულია პეპტიდურად წოდებული მტკიცე ქიმიური კავშირებით. თუ ცილის მოლეკულას ულტრაიისფერი სხივებით მოვასხივებთ, მაშინ პეპტიდურ კავშირებში შეტანილი აგზნება ძალიან მალე გადაეცემა მთელ მოლეკულას. ამ შემთხვევაში გაზრდილი ენერგიის ხარჯი სითბოზე თითქმის არ მიმდინარეობს. მაღალეხს რა არამატულ ამინომჟავებამდე, რომლებიც შედის ცილის ტრიპტოფანის, ტიროზინისა და ფენილალანინის შემადგენლობაში, მიღებული ენერგია შემდეგ გამოისხი-



ცილის ახალი, ლუმინესცენციური მეთოდით განსაზღვრისათვის საბჭოთა კავშირში მეცხოველეობის საკავშირო ინსტიტუტის ბიოფიზიკის ლაბორატორიის მეცნიერი თანამშრომლების ი. კეზუნინის და ს. კონევის მიერ დაგეგმარებულ იქნა პატარა ხელსაწყო — ფლოუორესცენციური პროტეინმეტრი.

ცილის ულტრაიისფერი ლუმინესცენცია ხილვად სინათლე გარდაქმნება ურანილის მინის მეშვეობით. ნათების სიდიდე ნახევარგამტარიანი ფოტოწინაღობით იზომება.

მთელი პროცესი გარეგნულად გამოიხატება ლილაკის დაქუჩისა და მიკროამპერმეტრის სკალაზე ანაფილის ჩვენებაში. საკმარისია ავილოთ სულ დასაზღოვებ ნახევარი კუბური სმ 20-ჯერ გახსნილი რძე, რომ განსაზღვროთ მასში ცილის შემცველობა 0,1%-მდე სიზუსტით.

ცილის სიზნაღები

ბიოფიზიკოსებმა შეძლეს შეენიშნათ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. გამოიკვია, რომ ცილები ინტენსიურად გამოსხივდება 245 მილიმიკრონი სიგრძის ტალღებით შემოსხივების დროსაც. (ეს შეადგენს და-

ახლოებით ხილული სინათლის ტალღების სიგრძის ნახევარს). ეს ტალღები მცირედ შთანთქმება არმატული ამინომჟავებით. მათი მოსხივება ცილებში იწვევს საპასუხო რეზონანსს, ნათების განსაზღვრულ მაქსიმუმს, რომელიც აღინიშნება გრაფიკზე. მაგრამ ასე არ ხდება ყველა ცილაში.

თუ ცილას ჰიდროლიზებულ გავხლათ და დავუმატებთ მას ტუტეს და გავაცხელებთ, ე. ი. დავარღვევთ პეპტიდური კავშირების ურთიერთმდებარეობას, მაშინ ეს მაქსიმუმი ქრება. ასეთ არასრულფასოვან ცილაში მოსხივების დროს პეპტიდური კავშირებით მიღებული ენერგია გარდაიქმნება სითბოდ.

ამგვარად, თუ ცილის სტრუქტურა იცვლება, მაშინ მასში მისცემ ირღვევა ენერგიის გადაცემის პროცესიც. ასეთი ცილა მქრქალდება, შეიძლება ითქვას, ქრება თვალწინ, როგორც გადამწვარი ნათობა.

გაითვალისწინებს რა, რომ ფამოსხივების მაქსიმუმი მეტად ეზოხლად რეაგირობს ყოველგვარ ცვლილებაზე, რომელიც ცილაში მიმდინარეობს, და გამოარკვევს რა პირდაპირი


კავშირი მსგავს რეაქციასა და ცილის სტრუქტურულ მთლიანობას შორის. ს. ბრაინსმა, ს. კონემა და გ. გოლუბემა დადამტკიცეს ეს მოვლენა გამოყენებით სისხლის ცილების გამოსაყვლად. მათ მიზნად დისახეს: გამოარკვიონ იცვლება თუ არა ცილის მოლეკულის სტრუქტურულ-ენერგეტიკული აგებულება ცოცხალი ორგანიზმის სხვადასხვა ფიზიოლოგიურ მდგომარეობასთან დამოკიდებულებით.

თავდაპირველად სამუშაოები ჩატარეს პატარა ლეკვებზე. მათ სისხლში შეჰყავდათ კატატონოგენური ნივთიერებები, რომლებიც განსაზღვრულ უძრავობის ე. წ. კატატონიკურ მდგომარეობას იწვევდა, რომელიც მძიმე ფსიქიკური დაავადების, შიზოფრენიის, ერთ-ერთი ფორმის სიმპტომების მსგავსია. ლეკვები ხანგრძლივად შეშლდებოდნენ ყოველ მიცემულ მდგომარეობაში: დგებოდნენ სამ ფეხზე, იჭიმებოდნენ ორ სკამს შორის და უცნაურად იწყობდნენ თავებს თავზე.

გამოიკვია, რომ თუ აუერვეთ სინჯარებში მოთავსებულ ჯანმრთელი ლეკვებისა და იმ ლეკვების სისხლს, რომლებსაც შეყვანილი ჰქონდათ კატატონოგენური ნივთიერება, მაშინ სისხლის ლუმინესცენციური ანალიზი მაშინვე გვიჩვენებს, რომელი ეკუთვნის მათ შორის ნორმალურ ძალს და რომელი ავადმყოფს.

ასე გამოიკვია, რომ მსგავსი პათოლოგიური მდგომარეობის განვითარებასთან ახლავს ცილის ცვლილება. ამასთანავე იგი ხდება არასრულფასოვანი ენერგეტიკული თვალსაზრისით.





ცხოველებზე ჩატარებულმა ცდების მიწვევებმა საშუალება მოგვცეს 1958-1959 წლებში გადასულიყავით ფსიქიკურად დაავადებული ავად-



რძეში ცილის შემცველობა შეიძლება განსაზღვროთ ახალი ხელსაწყო — ფლოუორესცენციური პროტეინმეტრის დახმარებით. ნაფორიდან გამოსული სპეციალურ შეფილტვში გაწლილი სინათლე, რომელიც მხოლოდ მოკლელტალღოვან სხივებს ატარებს, აღგზნებს რძეში ცილების ნათებას. ნათების ინტენსიურობა იზომება ფოტოლუმენეტრით. მიკროამპერმეტრი პირდაპირ პროცენტებში აჩვენებს რძეში ცილების შემცველობას.

მოკლელთა დიდი ულტრაიისფერი სინათ-
ლით ცილის მოსხივების ენერგია, შთან-
ქმული პეტბილური კავშირებით, სწრაფად
გადაეცემა მთელ მოლეკულას, აღწევს ტრი-
ტოფანის ამინომჟავამდე და იწვევს ნათე-
ბას. 1-ლ გრაფიკზე ჩანს ორი მაქსიმუმი:
პირველი (დიდი) წარმოიშვა ტრიტოფანის
პირდაპირი აგზნებით სინათლით, რომელიც
შთანთქმა მისივე მიერ; მეორე — იმ სინათ-
ლის ხარჯზე, რომელიც ტრიტოფანით უშუ-
ალოდ არ შთანთქმება, მაგრამ გადაეცემა
პეტბილური კავშირებიდან.

რიგი დაავადებისას ცილა იცვლება, პე-
ტილური კავშირების ურთიერთმდებარეობა
ირღვევა და ენერგია, შთანთქმული პეტბი-
ლური კავშირების მიერ, უკვე არ შეიძლება
გადაეცეს ცილას. ამას მეორე მაქსიმუმის
გაქრობა მოყვება (გრაფიკი 2).



მყოფების სისხლის გამოკვლევაზე.
უკვე პირველმა მონაცემებმა გვიჩ-
ვენა, რომ ფსიქიკური დაავადების
განვითარებას ზოგიერთ შემთხვევა-
ში თან ახლავს სისხლში ცილის ლუ-
მინესცენციის სუბათის ცვლილება,
ე. ი. სტრუქტურულ-ენერგეტიკული
გადაკეთება.

შემდგომი ექსპერიმენტები, რომ-
ლებიც ამ მიმართულებით ტარდება,
შეიძლება დაგვეხმაროს აღმოვაჩი-
ნით მძიმე ფსიქიკური სნეულების
განვითარების მიზეზი და მექანიზმი.

ცილების ლუმინესცენცია თავის-
თავად წარმოადგენს ბიოლოგიური
პროცესების შესწავლის ძალზე ხელ-
საყრელ და გრძნობიერ მეთოდს,
რადგან არიმატულ ამინომჟავებს
უკავია სრულიად განსაზღვრული
რგოლი ენერგიის ფლოუროსცენცი-
ული უბნების ჯაჭვში ბიოლოგიური
ქანგვის დროს. ცილებს რომ ლუმი-
ნესცენციის უნარიანობა არ ჰქონ-
დეს, ცოცხალი ორგანიზმები ვერ
შეძლებდნენ გამოიყენებინათ საკე-
ბის ენერგია კუნთის, გულის, ღვი-

ლის და სხვათა მუშაობის შესრულე-
ბისათვის.

ცილების ნათების ინტენსიურო-
ბის დამოკიდებულება მათში პეტბი-
ლური კავშირების ურთიერთმდებარე-
ობის დაცვასთან და განსაზღვრუ-
ლი ამინომჟავების არსებობა საშუა-
ლებს გვაძლევს ახალი მეთოდი გა-
მოვიყენოთ ჯერ კიდევ შეუწყვლე-
ლი ცილების აღნაგობის ანალიზისა-
თვის. ამაში მდგომარეობს, ზემოთ
აღწერილი პრაქტიკული შედეგების
გარდა, ჩატარებული სამუშაოების
თეორიული ინტერესიც.



საქართველო

პალეობუნობა

ქრონიკა

მ. ძვალაია

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი

კავკასიის ტერიტორიაზე მეზოზოური ერის მიწურულს არსებული აუზი ოდნავ შემცირებული სახით აგრძელებს „სიცოცხლეს“ კაინოზოური ერის დასაწყისში — პალეოგენურ დროში. პალეოგენური პერიოდის საერთო ხანგრძლიობაა 32 მლნ წელი. ამ დროს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ზღვიურ აუზებში წარმოიშობოდა ის მძლავრი დანალექი და ვულკანოგენური წყება (საერთო სიმძლავრით 6000 მ-მდე), რომელსაც გეოლოგები ფაციკლურ თავისებურებათა მიხედვით სამ ნაწილად ჰყოფენ: ქვედა — პალეოცენი, შუა — ეოცენი და ზედა — ოლიგოცენი.

პალეოგენს მოჰყვა ნეოგენური დრო, რომლის ხანგრძლიობა 27 მლნ წელი იყო.

პალეოგენური და ნეოგენური დანალექები საქართველოში ფართოდაა გავრცელებული და ნათობის ძეგნა-ძიებასთან დაკავშირებით საკმაოდ დეტალურადაა შესწავლილი. ამისათვის ბევრ უბანზე, მაგალითად, კახეთში, გურიაში, სამეგრელოსა და ქართლში, გაყვანილ იქნა მრავალი კაბურღილი, რომლებზეც გეოლოგებს შესაძლებლობა მისცა გაერკვიათ საქართველოს მიწის სიღრმეში განლაგებული ამ დანალექების წოდლის ფორმები და მათში არსებული

სასარგებლო წიაღისეული სიმდიდრეები.


პალეოგენურ დროში საქართველოს ტერიტორიაზე, საერთოდ კავკასიის მსგავსად, იყო ფართო ზღვიური აუზი მრავალი კუნძულოთა და ნახევარკუნძულოთ. მათ შორის შედარებით დიდი ადგილი ეკავა ხმელეთს, რომელიც მდებარეობდა თრიალეთის მხარის ადგილას, სურამის გადასასვლელთან, აჭარის ცენტრალურ ნაწილში და თბილისის სამხრეთით, საცმოდ შორ მანძილზე. კავკასიონის ქედი კვლავ ხმელეთს წარმოადგენდა, მაგრამ ძლიერ ვიწრო გავრცელებით. ამ ხმელეთის სამ-

ხრეთით (ასევე იყო, ალბათ, კავკასიონის ჩრდილოეთით) მდებარეობდა ლოს ტერიტორიაზე არსებული ზღვაში შემოდიოდა ქედის მრავალი განშტოება, რომლებიც აქ, მაგალითად, რაქასთან, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და კახეთში, რიგ ნახევარკუნძულებს ჰქმნიდა.

საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ფართო აუზში, რომელიც კვლავ შემადგენელი ნაწილი იყო თეტისის გეოსინკლინის (მას ზოგჯერ დიდ ხმელთაშუა ზღვას უწოდებენ), ორი სხვადასხვაგვარი პირობები იყო. ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც აფხაზეთ-სამეგრელო-ზემო იმერეთსა და მთა-თუშეთს მოიცავდა, ძირითადად ისეთივე ლითოლოგიური შემადგენლობის კირქვები ილექებოდა, როგორიც — ზედა ცარცულ დროში.

სამხრეთ ნაწილში, რომელიც ძირითადად აჭარა-იმერეთის ქედის ზოლში მდებარე უბნებს მოიცავდა, წყალქვეშა ვულკანური პროცესების დროს წარმოშობილი ტუფოგენური ქანები გროვდებოდა. აქვე ხშირად ადგილი ჰქონდა ფლოზისებრად (მორიგეობითი შრეები) მერგელების, კირქვებისა და კვიშაქვების წარმოქმნას, რაც აუზის ღონის მკვეთრ მერყეობაზე მიუთითებს.

პროფ. ი. კაპარაიას მასალების მიხედვით, საქართველოში გავრცელებული



ნახ. 1. საქართველო შუაეოცენურ დროში, დაახლოებით 40 მლნ წლის წინაო; 1—ხმელეთი; 2—ლავარული ადგილები, რომლებშიც ილექებოდა კირქვები და მერგელები; 3—ფლოზი და ვულკანური წყება

ბული პალეოცენური ასაკის ნალექებში ძირითადად ორგვარი ფაციესი — კირქვებისა და მერგელების — გაირჩევა. საქართველოს სამხრეთი ნაწილისათვის ზოგიერთი გეოლოგი გამოყოფს აგრეთვე ვულკანოგენურ (ტუფოგენურ) ფაციესს. პალეოცენის პირველ ნახევარში დალქაილ კირქვებში თითქმის მხოლოდ ორსაგდულიანი მოლუსკები გვხვდებოდნენ. მერგელების (კირქვიანი თიხები) ფაციესი ზღვის უფრო გაღრმავებაზე მივივითითებ, რასაც ადასტურებს მერგელებში ნაპოვნი მიკროსკოპული ორგანიზმების — ფორამინიფერების შემცველობაც. პალეოცენის მეორე ნახევარში ზღვა შედარებით გათხლებულია, ამას მოწმობს ზედა პალეოცენურ ნალექებში წყალმცენარეებისა (ლითოთამნიუმები) და წვრილი ნამარხების (მილიოლიდების) არსებობა. ზღვის შედარებით უფრო ღრმა უბნებში, მაგალითად, ცხაკაისთან, აფხაზეთში და სხვ., მიკროფორამინიფერებით მდიდარი შლამი ილექებოდა. სურამის გადასასვლელთან მდებარე კუნძული, ალბათ, ერცულდებოდა როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით და იგი ე. წ. საქართველოს ბელტის გაშიშვლებული ნაწილი იყო.

საქართველოს ბელტი საქაოდ

დიდნას იყო ზღვის ზეითი ამოწეული (გაშიშვლებული) და ზედაპირული წყლების მიერ მისი ინტენსიური გადარეცხვა ხდებოდა.

პალეოცენის მიწურულს ადგილი აქვს ვულკანური პროცესების შეწყვეტას. რიგი ხმელეთებისა და ლარჩევისა და ეოცენის დასაწყისში ზღვა ტრანსგრესიულად თითქმის მთლიანად ფარავს არა მარტო საქართველოს ტერიტორიას, არამედ მთელ კავკასიას. ამ ფართო ეოცენურ აუზში დიდ კუნძულებად გამოიყოფოდა კავკასიონის ქედის დიდი ნაწილი, სურამის ქედი და ზოგიერთი ადგილი მესხეთ-ჯავახეთში.

ეოცენის პირველი ნახევრის საკმაოდ გაღრმავებულ აუზში, რომელიც მთლიანად ფარავდა საქართველოს, ძირითადად ნუშელიტების ნაშთების შემცველი კირქვები და ქვიშაქვები გროვდებოდა; მეორე ნახევარში აუზი კიდევ უფრო ღრმავდება და მასში ილექება ძირითადად მძლავრი წყება, წარმოდგენილი მეტწილად მწვანე ფერის ფორამინიფერებიანი მერგელებით.

ზოგადად ასეთი იყო ეოცენური ნალექები დასავლეთ საქართველოსა და საქართველოს სამხრეთ ნაწილში.


ეოცენური აუზი ფართოდ გადმოდიოდა აღმოსავლეთ საქართველოს

ტერიტორიაზეც. აქ, ე. წ. ჯავახეთში ეოცენის დასაწყისში ორგანიზმების მთლიანად აღიწეობოდა, ხოლო შუა ეოცენის დასასრულს იწყება კლასტური ქანების დალექვა. შუა ეოცენის პირველ ნახევარში ზღვა დიდარი იყო ნუშელიტებით და დისკოკილინებით. ლიწხუმსა და რაჭაში, შუა ეოცენის ქვედა ნაწილის ქანებში, ბლომად გვხვდება ფორამინიფერების აღნიშნული წარმომადგენლები, მაშინ როდესაც აფხაზეთსა და სამეგრელოში ისინი გავრცელებულია მხოლოდ ცალკეულ უბნებზე სპორადულად. ეს ყველაფერი გამოწვეული იყო ზღვის სიღრმის ცვალებადობით, რაც უშუალო კავშირშია მიწის ქერქის რყევით მოძრაობებთან, რომლებიც ერთგვაროვანი ამპლიტუდით არ ხდებოდა.

აღნიშნული მოძრაობები გრძელდებოდა დიდხანს, ოლიგოცენური პერიოდის პირველ ნახევარამდე. მაგრამ მათ ოლიგოცენის დასაწყისში საქართველოს გეოგრაფიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მაინც არ გამოიწვევია. ზედა ეოცენის აუზი თანდათანობით გადავიდა ოლიგოცენის დასაწყის აუზში, რომელშიც ე. წ. ხაღმური ფაციესის თხელი ფენობრივი, კარბონატული შებენი ილექებოდა; ოლიგოცენური პერიოდის შუა ნაწილიდან კი საქართველოს ტერიტორიაზე გეოგრაფიული მონახულობა მკვეთრად იცვლება, რაც ძლიერი მთათა წარმოშობი მოვლენებით იყო გამოწვეული.


საქართველოში ფართოდ გავრცელებული ქვედა ოლიგოცენური ასაკის თიხები ბლომად შეიცავს ისეთი მიკროორგანიზმების ნაშთებს, რომლებიც ახლო მსგავსებას იჩენს დასავლეთ ევროპის ქვედა ოლიგოცენურ ფაუნასთან. ეს ფაქტი ამ ადგილებში არსებულ აუზებს შორის უშუალო კავშირის არსებობაზე მივითითებს.

შუა ოლიგოცენურ დროში, დაახლოებით 30 მლნ წლის წინათ, საქართველო კვლავ ღრმა ზღვით იყო



ნახ. 2. რაჭა-ლეჩხუმის გადასასვლელთან, სიარმხა და სოფ. ვვარდიას შორის, გაშიშვლებული ეოცენ-პალეოცენური ასაკის კირქვები, რომლებიც მოწმობს ეროზიის სიძლიერებს

დაფარული და ამ ფართო ზღვაში მრავალი კუნძული გამოიყოფოდა. ეს კუნძულები, შედგენილი მუხოზოური ასაკის ტუფოგენური ქანებისა და კირქვებისაგან, ალბათ, ზღვას დონიდან რამდენიმე მეტრით იყო მაღლა და, გარდა კავკასიონის ქედისა, მდებარეობდა აგრეთვე ძირულისთან, აჭარა-იმერეთის ქედის ზოლში, აფხაზეთში (ბურჯან), სამეგრელოში (ციშთან), აბედათთან, კახეთში (ციც-გომბორის ზოლში და წითელწყაროსთან), ბორჩალოს მხარეში და კიდევ ბევრ სხვა ადგილას. უნდა ვიფიქროთ, რომ ოკრიბის მიდამოებში შემოდიოდა ფართო ნახევარკუნძული, რომლის უკიდურესი სამხრეთი კონცხი ქუთაისამდე აღწევდა.



ნახ. 3. ეოცენური ასაკის 40 მლნ წლის წინათ დაღეპილი კირქვები მდ. ცის ხეობაში, კურორტ მენჯთან

შუა ოლიგოცენის აუზის ნალექები გეოლოგიურ ლიტერატურაში მაიკოპური თიხების სახელწოდებითაა ცნობილი. ის პირველად 1912 წელს იქნა აღწერილი ყუბანის ოლქში, ქ. მაიკოპის მიდამოებში, და სახელწოდებაც აქედან მიიღო. ლიოლიოგურად ეს არის შავი ფერის, არაჰორქვიანი, ჩვეულებრივ ფიქლიოსები თიხები, მდიდარი თევზის ქერცლებით. თიხები შედარებით ღრმა ზღვის ფაციესისაა და მათი თვისებების შესწავლით დასტურდება, რომ მაიკოპური თიხების მომცემი ოლიგოცენური აუზი (მსგავსად საერთოდ კავკასიის სხვა უბნებში მდებარე აუზებისა) საქართველოშიც გოგორდწყალბადით იყო მოქმედებული, ისევე როგორც ის აქამდე შავ ზღვაშია, საშუალოდ 200 მ-ზე დაბლა.

ოლიგოცენურ დროს მესხეთში იღვავ თავისუფლი, ნახევრად დახურული ტიპის, თხელწყლიანი აუზი. მასში დაღეპილა ის ორგანული მასალა (მეტწილად მცენარეულობით წარმოდგენილი), რომელთა განმარტებით სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ უბანზე, ახალციხის რაიონში, მურა ნახშირის მდიდარი საბადოები წარმოშობილა. ეს სხვადასხვა სახის

მარადმწვანე ფოთლებიანი და წიწვიანი მცენარეულობა (რომელთა წარმომადგენლები ამჟამად სამხრეთ ნახევარსფეროში, ძირითადად ავსტრალიაში გვხვდება) ხარობდა ხმელეთის იმ უბნებზე, რომლებიც ეოცენურ და ოლიგოცენურ დროში საქართველოს ტერიტორიაზე კუნძულებად ან ნახევარკუნძულებად გამოიყოფოდა.

აქვე ტყეებში ხშირი უნდა ყოფილიყო სხვადასხვა სახის ცხოველები, წარმოდგენილი როგორც უხერხემლოებით, ისე ძუძუმწოვრებითა და ფრინველებით.

აღამიანის მსგავსი მაიჰუნები პირველად ოლიგოცენში ჩნდებიან. ამ მაიჰუნების ნაშთები საქართველოში ჯერ ნაპოვნია არაა, თუმცა ეს არ გამოირჩევა პოვნის შესაძლებლობას.

საქართველოში ოლიგოცენის დროს მცხოვრები დიდი ხერხემლიანების ნაშთები ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე უბანზეა ნაპოვნი. შეიძლება დაეასახელოთ ორი მაგალითი:

1. ამ რამდენიმე წლის წინათ ახალციხიდან თორმეტრიდე კმ-ის დაშორებით, სოფ. ბენარის მიდამოებში, ნაპოვნი კბილები და წვივის

ძვლები, პროფ. ლ. გაბუნიას გამოკვლევებით, ოლიგოცენურ დროს მცხოვრები დიდი მაწოვრების — ხალიკოთერიუმის (დიდი ცხენისმგვარი) ოთხეხა ცხოველი იყო) ნაშთებია. მათი შესწავლის საფუძველზე მკვლევარი ასკვნის: ბენარის გადაშენებულ მაწოვართა ფაუნა მოწმობს, რომ ოლიგოცენში საქართველოს ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო ცხელი და ტენიანი ჰავა, რომელიც განხილული ფორმებისათვის ხელსაყრელ საცხოვრებელ პირობებს ქმნიდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბენარის ოლიგოცენური მაწოვრები ცხოვრობდნენ ტბის ან მდინარის დელტის ტყიან ნაპირებზე, სადაც უხვადა ხარობდა რბილი ბალახეული და ფოთლოვანი მცენარეები.

აქვე ნაპოვნი მაჯის ძვლის შესწავლა ადასტურებს, რომ ის ბუმბერაზი, ნელამორავი ცხოველი, ინდო-აზიოთერიუმს ეკუთვნის. ინდო-აზიოთერიუმები იყვნენ აგრეთვე უფრო პატარა ფორმისა და სწრაფად მოსიარულენი, მორბენალნიც. ამრიგად, როგორც ლ. გაბუნია აღნიშნავს, მართლდება დასკვნა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ოლიგოცენის

ქიმიკოს ზვირა სოჭოველი

ა. ლეჟანა

უძველესი და უმდიდრესი კულტურის მქონე ძველი ბერძნები განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ ხე-როთმოდგურულ და სკულპტურულ ხელოვნებას. ალბათ, ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მათ ასეთი ძეგლები უფსანიშნავესი ნიმუშები წმინდა შეიდეგულში შეიყვანეს და საოცრება უწოდეს.

სახელწოდება „სამყაროს შვიდი საოცრება“ ელინისტურ ლიტერატურაში III ს-დან (ჩვ. წელთაღრიცხვამდე) ჩაჩენილა. მასში შედიოდა უძველესი დროის სახელგანთქმული ნაგებობანი და ქანდაკებები: 1) გვიგბატის პირამიდები, 2) სემირამიდეს ბაღები, 3) არტემიდეს ტაძარი, 4) ფიდიას ზეცის ქანდაკება, 5) ჰალიკარნასის მეგზოლეუმი, 6) მზის ღმერთის ჰელიოსის ქანდაკება და 7) ალექსანდრიის შუქურა.

რას წარმოადგენდა თითოეული მათგანი?

გვიგბატის პირამიდები. პირამიდები ძველი გვიგბატის ფარაონთა აკლდამებია, რომელთაც სიცოცხლეშივე იგებდნენ ფარაონები. გვიგბატელებს სწამდათ, რომ გარდაცვლილი და შემდეგ ი ღმერთად ქცეული მეფე სათანადო წესების დაცვის პირობებში კვლავაც განაგრძობდა მისი ქვეშევრდომების დაცვას. მაგალითად, დამახასიათებელია, რომ სენუსერტ I-ის პირამიდას ჰქვია: „სენუსერტი უყურებს გვიგბატეს“, ხოლო ზოგიერთი პირამიდის წვერში თვალებიც კი იყო გამოხატული, ე. ი. სწამდათ, რომ ფარაონი მათთან ერთად განაგრძობდა სიცოცხლეს.

გვიგბატის პირამიდათა შორის გამოირჩევა ორი სახე: უფრო ძველი, საფეხუროვანი და გეომეტრიულად სწორი, პირამიდულური.

შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით თანდათან აღიდგენდნენ პირამიდის ზომებსაც.

მდ. ნილოსის დელტასთან, გიზეში, ახლაც არის ლურჯი ცის ფონზე მკვეთრად გამოკვეთილი გიგანტური პირამიდები IV დინასტიის ფარაონებისა: ხუფუს (ბერძნები ჩიფოსს უწოდებდნენ), ხაფრისა (ხეფრენის) და მენკაურას (მეკერინის) (ნახ. 1). ეს მონუმენტური პირამიდები—სამყაროს ერთ-ერთი საოცრებათაგანი — აგებულია 29-28-ე სს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე. მათ შორის სიდიდით გამოირჩევა ხუფუს პირამიდა, რომელსაც ხუ-


როთმოდგარ ხეიმუნს მიაკუთვნებენ. ის ყველაზე დიდი ნაგებობაა მსოფლიოში. მისი სიმაღლეა 146,6 მ, ფუძის გვერდების სიგრძე—233 მ; აგებულია თლილი კირქვის ბლოკებისაგან, რომელთაგან თითოეულის წონა შეადგენს 30 ტ-ს. გამოთვლილია, რომ პირამიდის აგებას დასჭირდა 2 300 000 ასეთი ბლოკი.

ჩრდილოეთის მხრიდან გაკეთებული შესასვლელი გრძელი დერეფნებით უერთდება პირამიდის ცენტრში მდებარე სამარხ საკანს, სადაც მოთავსებული იყო მეფის სარკოფაგი. გარედან პირამიდა მოპირკეთებული იყო მალაი ზარისხის კირქვის ფილებით, საკანი და დერეფნის ნაწილი კი — გრანიტით.


ყოველი პირამიდა გიზეში შემორჩეული იყო არქიტექტურული ანსამბლით.

ამ გიგანტურ ნაგებობებს ეწირებოდა უზარმაზარი თანხები, ტენეიკური გამოგონებები, ხუროთმოძღვრითა იდეები და, რაც მთავარია, მონათა და მიწათმოქმედელ უმდიდრესი ექსპლუატაცია.

სემირამიდეს ბაღები. ამ ე. წ. „კიდული ბაღების“ გაშენება მიეკუთვნება ნაბუქოდონოსორ II-ის მეფობას (604-562), ხმ ღროს, როდესაც ბაბილონში აღმოაჩინა ოთხკუთხა გეგმით ნაგები თითქმის მთელი ქალაქი, დამშენებული სასახლეებითა და ტაძრებით. სამი ცნობილი სასახლის გარდა, აღმოჩენილ იქნა კიდევ ერთი საზაფხულო სასახლე სემირამიდეს „კიდული ბაღებით“.



* იხეველბა ლ. შინკიკაშვილის შეკითხვის პასუხად.



ნახ. 2. არტემიდეს ტაძარი ეფესოში. რეკონსტრუქცია

ამ ბალებზე შეიძლება ვიმსჯელოთ ბერძენი ისტორიკოსის პეროდოტეს აღწერით, რომელმაც ნაშუქლონოსოირის მეფობიდან ერთი საუკუნის შემდეგ იხანულა ბაბილონი, და ნანგრევებით, რომლებიც გათხრების შედეგად იქნა აღმოჩენილი. უფრო სწორად, ეს იყო ნანგრევები წყალსატევების, ტემბისა და არხების სისტემისა, რომლებიც მდ. ეფრატს უკავშირდებოდა.

„კიდული ბალები“ საკერძოვლბა იყო თავისი ზღაპრული მშვენიერების გამო. კიდული ეწოდებოდა იმიტომ, რომ გაშენებული იყო კვადრატული ფორმის ხელოვნურ ტერასებზე (ნაგებობის გვერდის სიგრძე 370 მ-ს შეადგენდა), სართულების გამო მას თეატრის სახე ჰქონდა. ყველაზე ზემო ტერასზე მდებარეობდა ბაღის ზედა მიუ-ღანი. ტერასებზე აღიოდა წყალი, რომელიც რწყავდა ბალებს.

ეს ბალები გაშენებული იყო სემირამიდეს საამოვნებისათვის. სემირამიდე ასირიის ლეგენდარული დედოფალია. ბერძენი ისტორიკოსის კტესიას (IV-V სს.) გადმოცემით, იგი ქალიშვილია ასტარტისა; გაიზარდა სიღარიბეში; შემდეგ სილამაზისათვის ცოლად შეირთო ასირიის დიდებულმა. ერთ-ერთი ომის დროს ხელსაყრელი რჩევა მისცა ასირიის მეფეს და მისი ცოლიც გახდა.

როგორც გადმოგვცემენ, სემირამიდე ისტორიული პროტოტიპია ასირიის დედოფლის შამურამიტისა. რეგულისტოვისაც მისმა მეუღლემ, ასირიის მეფემ ნაბუქოდონოსორმა, გააშენებინა ეს „კიდული ბალები“ მშობლიური ნუბის მთების მთავონებლად.

არტემიდეს ტაძარი. ბერძნული მითოლოგიის ღვთაების—არტემიდეს ტაძარი ეფესოში (ნახ. 2) პირველად აგებულ იქნა VI ს-ის მეორე ნახევარში (ჩვ. წელთაღრიცხვამდე). იგი ოინის არქაულ ტაძრებს შორის ყველაზე დიდი პაპულარობით სარგებლობდა. გაოცება იწვევდა მისი სიდიდე და მშვენიერება.

განსაკუთრებით შესანიშნავი იყო მისი მაღალი, ოთხი ორმაგმწკრივიანი კოლონები, რომლებიც დასავლეთ და აღმოსავლეთ ფასადზე დამშვენებული იყო სკულპტურული რელიეფებით. ჩრდილ-სინათლის მდიდრული თამაში და რთული რიტმით ცვლადი კოლონები იყო ტაძრის დიდებულების საიდუმლოება.

პირველად აგებული ტაძრიდან გადარჩა მხოლოდ ქალმერთის ქანდაკება და საკურთხევის საძირკველი. მათ ქვეშ ნახულ იქნა 3 ათასზე მეტი ძვირფასი ნივთი, როგორც ჩანს, ტაძრის მშენებლობის შეწირულება.

გათხრებმა, რომელიც ძველი ეფესოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს XIX ს-დან, გარკვეია საკურთხევის გეგმა, შენობის ბევრი ნაწილი და მრავალი სხვაიც, მათ შორის ის, რომ ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობა მიიღია ლიდიის (მცირე აზიაში) მეფე კრეზს (560-546). სვეტების საფუძველს აქვს წარწერა: „უძღვნა მეფე კრეზს“.

356 წელს ჩვ. წელთაღრიცხვამდე ეფესოლმა პერო-სტრატემ თავისი სახელის უკავდასაყოფად დასწვა შენობა. შემდეგ იგი ხელახლა ააშენეს.

ფიდიას მიერ შესრულებული ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში. კლასიკური პერიოდის ძველი საბერძნეთის უდიდესი მოქანდაკის—ფიდიას (500-431 წწ.) ეს უკანასკნელი შედეგები ჩვენამდე არ მოღწეულა. მასზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ ასლებით, ძველი ავტორების აღწერით და იმ მონეტებით, რომლებზედაც ეს ქანდაკებაა გამოსახული (ნახ. 3).

როგორც მოგვითხრობენ, 438 წელს ჩვ. წელთაღრიცხვამდე ელენელემბა მიწვევის ფიდიას, რომ ოლიმპიის ზევსის ტაძარში დაედგა ზევსის ქანდაკება. ამ დროისათვის ფიდიას მოქანდაკის მიღიარი გამოცდილობა ჰქონდა და თავის ძმასთან—ჰანეთან და მოწაფესთან—კოლოტთან ერთად დაიწყო მუშაობა. 432 წლისათვის 87-ე ოლიმპიადისთან დაკავშირებით მოხდა ქანდაკების გახსნა. ზევსი, როგორც მონეტებიდან ჩანს, იჯდა ტახტზე. მარჯვენა ხელში ეჭირა გამარჯვების სიმბოლური გამო-სახულება (ანგელოზი), მარცხენაში კი—ძვირფასი ქვე-ბით მოჭედლი სკიპტრა. საერთოდ, მილიანად ქანდაკე-ბაცა და ტახტიც შესრულებული იყო ოქროს, სპილის



ნახ. 3. ელინური მონეტები ფილიას ზეგის გამოსახულებით

ძელის, შავი ხისა და ძვირფასი ქვებისაგან. ზეგის ფეხქვეშ დადგმული სკამიც კი დამწვენებული იყო ამორჩალო ბძოლის გამომსახველი რელიეფებით, კვარცხლბეკზე კი წარმოდგენილი იყო ზღვიდან ახალამოსული აფროდიტე, რომელიც მიიღეს უცდავთა დასში.

ქანდაკების სიმაღლე კვარცხლბეკთან ერთად 14 მ-ს შეადგენდა. ასე, რომ ზეგის ამღვარი რომ წარმოგვედგინა, ქანდაკებას არ ეყოფოდა ტაძრის სიმაღლე.

ღმერთების მამამთავარი ტოვებდა იმდენად ღიღებულ შთაბეჭდილებას და ისე ამღლებდა მორწმუნეთა გრძნობებს, რომ უხედილურებად ითვლებოდა მომკვდარი-ყენენ მისი ნახვის გარეშე.

ქანდაკება გადატანილ იქნა კონსტანტინოპოლში, სადაც ის დაწევა ერთ-ერთი ხანძრის დროს.

პალიკარნასის მავზოლეუმი სპარსეთის პროვინციის, კარიის სამეფოს, მმართველის მავსოლის (377-353) აკლდამა (ნახ. 4).

მეფე მავსოლის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ დედოფალმა არტემისიამ დააგოა იმ დროისათვის ცნობილ არქიტექტორსა და მოქანდაკეს—ბითეას (ზოგ წყაროში სატირისაც) პალიკარნასში (ახლანდელი ბულღურში. მცირე აზიაში) აეგო მონუმენტური, ჯერ არ-ნახული მშენიერების აკლდამა.

ეს გიგანტური ნაგებობა 1500 წლის მანძილზე იწვევდა საყოველთაო განცვიფრებას, სანამ შუა საუკუნეებში არ იქნა დაწვრთული, როგორც ჩანს, მიწისძვრის გამო, XVI ს-ში კი — საბოლოოდ განადგურებული იოანიტელი რაინდების მიერ.

არქეოლოგიური გათხრებით (XIX ს-ის შუა წლებში), რომლის დროსაც აღმოჩენილ იქნა საძირკველი და ნაწილობრივ ზედა სართულებიც, და რომელიც მეცნიერისა და მწერლის პლინიუს უფროსის (23-79) აღწერით შესაძლებელი შეიქნა დაედგინათ ნაგებობის თავდაპირველი სახე.

თავისი ფორმებით ნაგებობა საგრძნობლად განსხვავდებოდა სხვა ძველი ბერძნული ნაგებობებისაგან. სწორკუთხა ცოკოლებში მოთავსებული იყო მავსოლისა და მისი ცოლის საფლავი. მავზოლეუმს ჰქონდა იონური კოლონადა და საფეხუროვანი პირამიდალური სახურავი. სახურავის წვერი დაგვირგვინებული იყო მეფისა და დედოფლის ქანდაკებებიანი კვადრიგით*.


* ოთხდღიანი ანტიკური ეტილი, რომელშიც შეაქმნი იყო ოთხი ცხენი.

ნაგებობის სკულპტურულად მორთვაში, გარდა ზეგისა, მონაწილეობას ღებულობდნენ სკოპადი და სხვები ანტიკური მოქანდაკეები. როგორც ისტორია გადმოგვცემს, მათ თავისი შემოქმედების ნაყოფით იმდენი სიამოვნება განუცდიათ, რომ სულ მალე, არტემისიას სიკვდილის შემდეგ გასამრჯელოს გარეშე გაუჩრტლებიათ მუშაობა და ნაგებობა ბოლომდე მიუყვანიათ.

